186
1967

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1967 წ.

/05'02.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. იმ ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების წესის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, რომლის მომხმარებლები არიან სოფლის მოსახლეობა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.
2. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ.
3. რესპუბლიკის იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივებისათვის სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ, რომლებმაც გაიმარჯვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.
4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების და 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.

საქ. მინისტრთა საბ. საქ. საბჭ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციების, მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ.
7. თბილისის მეტროპოლიტენის საწარმოო ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.
8. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე კომპლექსური გადაყვანის ვადის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

9. სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ.
10. სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის დებულების შესახებ.
11. „აფხაზხილბოსტნის“ და „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოების შესახებ.
12. გასტროლებისა და ადგილობრივი მუსიკალური და მოცეკვავეთა კოლექტივების საკონცერტო და საესტრადო წარმოდგენებზე ბილეთების ღირებულების დამტკიცების წესის შესახებ
13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 აპრილის № 320 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 26 მაისის № 708 განკარგულების გაუქმების შესახებ.
14. ქ. რუსთავში სახელმწიფო ქართული თეატრის შექმნის შესახებ.
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
17. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს შექმნის შესახებ.
18. სამკერდე ნიშნის — „წარჩინებული მრწყველის“ დებულების დამტკიცების შესახებ.
19. ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ.
20. თბილისის სამხატვრო აკადემიისათვის სახელის გამოცვლის შესახებ.
21. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფების დებულების დამტკიცების შესახებ.
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
23. საერთო საცხოვრებლების დებულების და მათი მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

24. **განკარგულება № 563-გ.**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 იმ ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების წესის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, რომლის მომხმარებლები არიან სოფლის მოსახლეობა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

გაგრძელდეს 1968 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 მაისის № 280 დადგენილებით გათვალისწინებული წესი იმ ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებისა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, როგორც „საქმთავარენერგოს“ საბითუმო მომხმარებლების, მიერ, რომლის მომხმარებელიც არის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა ისე, რომ შემდგომ გადაახდევინონ მათ შესაბამისი თანხები ელექტროენერგიის ინდივიდუალურ მომხმარებლებს და ცალკეულ ორგანიზაციებს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1967 წლის 17 ივნისი, № 403.

2 რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად, სოციალისტური მშენებლობის საქმეში რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების დიდი მიღწევების გათვალისწინებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშები, რომლებითაც დაჯილდოვდებიან რესპუბლიკის რაიონები და ქალაქები

სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

2. დაწესდეს, რომ სამახსოვრო დროშები მიენიჭებათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილებით და გადაეცემათ რესპუბლიკის რაიონებს, ქალაქებს იმავდროულად, როდესაც გამოცხადდება დადგენილება მათი მინიჭების შესახებ, ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებებზე.

სამახსოვრო დროშები დარჩება სამუდამო შესანახად და, როგორც შრომითი მამაცობის სიმბოლო, დაიდგმება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საყოველთაო დათვალიერებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ძოწენიძე.**	**გ. ჯავახიშვილი.**	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი, № 386.

3 რესპუბლიკის იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივებისათვის სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ, რომლებმაც გაიმარჯვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა, თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ინიციატივა მიმართულია კომუნისტური მშენებლობის იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისაკენ, რომლებიც დასახულია სკკპ პროგრამით და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით.

რესპუბლიკის მშრომელები, ემზადებიან რა სახელოვანი იუბილესათვის, წარმატებით ასრულებენ შრომის ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ამოქმედებისა და ათვისების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების ხაზით ნაკისრებ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში მკვეთრი გამოხატულება პოვა ხალხის პატრიოტიზმმა, მისწრაფებამ აღნიშნონ საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილე ახალი მიღწევებით სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარება-განმტკიცებაში.

რესპუბლიკის იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივების შრომითი წარმატებების აღნიშვნის მიზნით, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრებ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, როგორც შრომითი მამაცობის სიმბოლო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 50 სამახსოვრო დროშა.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივებს, რომლებსაც სამახსოვრო დროშები მიენიჭათ, მიეცემათ ფულადი პრემიები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია კოლექტივებისათვის, რომლებიც ჯილდოვდებიან რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

სამახსოვრო დროშების მინიჭება იწარმოებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

სამახსოვრო დროშები განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის, დანართის თანახმად.

2. ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად სამახსოვრო დროშების და ფულადი პრემიების დაწესებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1967 წლის მესამე კვარტალის შედეგებისათვის არ იქნას მინიჭებული.

3. დაწესდეს, რომ ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის სამახსოვრო დროშის გადაცემა და გამოცხადება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებისა მისი მიკუთვნების შესახებ იწარმოებს საზეიმო სხდომებზე, კრებებზე, მიტინგებზე.

სამახსოვრო დროშები რჩება სამუდამო შესანახად და, როგორც შრომითი მამაცობის სიმბოლო, დაიდგმება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება საყოველთაო დათვალიერებისათვის.

4. რეკომენდებულ იქნას დაიდგას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში, რომლებმაც სამუდამო შესანახად მიიღეს ამ დადგენილების შესაბამისად დაწესებული სამახსოვრო დროშები, — მემორიალური დაფები, რომლებზედაც აღინიშნოს — თუ რა დამსახურებისათვის არის გადაცემული სამახსოვრო დროშა.

მემორიალური დაფების გახსნა მოხდეს საზეიმო ვითარებაში.

5. დაწესდეს, რომ მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისათვის რესპუბლიკური პრემიების მიცემა ხდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ზეგეგმითი მოგებიდან.

სახსრები კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად გამოიყოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ძოწენიძე.**	**გ. ჯავახიშვილი.**	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 6 ივნისი, № 387.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს
1967 წლის 6 ივნისის № 387
დადგენილების დანართი

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშებისა

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	სამახსოვრო დროშების რაოდენობა
კვების მრეწველობის სამინისტრო	2
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	1
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	2
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	2
მშენებლობის სამინისტრო	2
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	1
ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	3
კავშირგაბმულობის სამინისტრო	1
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	3
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	2
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	
საბჭოთა მეურნეობებისათვის	2
კოლმეურნეობებისათვის	6
კომბინატი „საქქვანახშირი“	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“	2

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	სამახსოვრო ფრონ-ზების რაოდენობა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1
ვაჭრობის სამინისტრო	1
ცეკავშირი	1

4 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების და 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების და 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, 1967 წლიდან დაწყებული, გარდამავალი წითელი დროშა ხორბლის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

2. დაწესდეს გარდამავალი წითელი დროშა ბოსტნეულის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მოხდეს ერთხელ სამეურნეთ წლის შედეგების მიხედვით.

3. ჩაის ფოთლის კრეფისათვის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება მოხდეს 1967 წლიდან ერთხელ სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით:

— მეჩაიეობის რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს — მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ბათუმის, ჩოხატაურის რაიონები;

— მეჩაიეობის რაიონების მეორე ჯგუფს მიეკუთვნოს — ტყიბულის, წყალტუბოს, ცხაკაიას, წულუკიძის, სამტრედიის, ხობის, გუდაუთის, გულრიფშის რაიონები.

4. მეცხოველეობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჯომის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, თეთრიწყაროს, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა და ლენინგორის რაიონები.

მეცხოველეობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი რაიონების მეორე ჯგუფს მიეკუთვნოს — წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მესტიის, სოხუმის, გულრიფშის, გალის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონები.

5. დამტკიცდეს ახალი რედაქციით პირობები რაიონებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებისა ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 30 მაისი, № 353.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს 1967 წლის 30 მაისის
№ 353 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებისა რაიონებისათვის ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭებათ რაიონებს, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, მარცვლის, ბოსტნეულის წარმოებასა და დამზადებაში, აგრეთვე მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის დარგებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიენიჭება იმათ, ვინც მიაღწია მაღალ მაჩვენებლებს:

მეჩაიეობაში

— ჰექტარზე ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ამაღლების, საერთო მოსავლის ზრდის, ხარისხის მიხედვით ფოთლის მიყიდვისა და მოცემული რაიონის ჩაის ფაბრიკების მიერ პროდუქციის ასორტიმენტული გეგმის შესრულების საქმეში. ამასთან ერთად შესრულებულ უნდა იქნას ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხილეობაში

— ჰექტარზე ხილის საშუალო მოსავლიანობის, საერთო მოსავლის ზრდის, ბაღების გაშენებისა და რემონტის გეგმის შესრულების და სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მევენახეობაში

— ჰექტარზე ყურძნის საშუალო მოსავლიანობის, საერთო მოსავლის ზრდის, ვენახების გაშენებისა და რემონტის; საძირე ვაზის სადედეთა გაშენების გეგმის შესრულების, სტანდარტული ნამყენი ნერგის მაღალი გამოსავლიანობის, სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მეთამბაქოობაში

— სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულების და ხარისხოვანი ნედლეულისა და მიყიდული პროდუქციის თანაფარდობის მაღალი პროცენტის მიღწევის საქმეში.

ხორბლის დარგში

— ხორბლის მოსავლიანობის ამაღლების, საერთო მოსავლის ზრდის, სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვის და საჭირო რაოდენობის თესლის გამოყოფის, გეგმის შესრულების საქმეში.

ბოსტნეულის დარგში

— ჰექტარზე ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლების, საერთო მოსავლიანობის ზრდის, სახელმწიფოსათვის კულტურების მიხედვით ბოსტნეულის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მეცხოველეობაში

— ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების გადიდების საქმეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინებით, 100 სულ დედა-პირუტყვზე ხბოების მოგებისა და მოზარდეულის უკეთ შენარჩუნების; ყველა სახის პირუტყვის სულადობის ზრდის, სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის გეგმის შესრულების საქმეში.

მეაბრეშუმეობაში

— სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულების საქმეში, როდესაც მაღალია პირველი გამოკვების პარკის ხვედრითი წონა; სახელმწიფოსათვის პირველი ორი ხარისხის პარკის მიყიდვის გეგმის შესრულების, თუთის ხეების გაშენების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 24 მაისი, № 332.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 24 მაისის № 332 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღფრთოვანებით ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად გეგმებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ. ამ გეგმების წარმატებით შესრულებას ხელს უწყობს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა — კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა.

შეჯიბრებაში ჩაბმულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს სამმართველოების, კანტორების, ბაზების, საწყობების, მაღაზიებისა და სხვა სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციების კოლექტივთა ძირითადი ამოცანებია:

— ფონდების დროული რეალიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე სხვა ეკონომიური რაიონებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულება;

— დამატებითი რესურსების გამოძებნა იმისათვის, რომ სამრეწველო საწარმოებმა და მშენებლობებმა უზრუნველყონ სახელმწიფო გეგმების შესრულება;

— მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა;

— მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოებისა და მშენებლობების რიტმულ მუშაობას, ეკონომიურობას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების მუშაობაში, შრომის მექანიზაციასა და მეცნიერულ ორგანიზაციას კანტორებში, ბაზებში, საწყობებსა და მაღაზიებში;

— კოლექტივების მობილიზაცია კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების შემდგომ გასავითარებლად, გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ეკონომიური სტიმულირება და ამაღლდეს კოლექტივთა დაინტერესება დაწესებული გეგმების შესრულებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც კვარტალის განმავლობაში მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

I. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამეურნეო ანგარიშის სამმართველოების, კანტორების, ბაზების, მაღაზიებისა და სხვა სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაციები

1. შეასრულებენ სხვა ეკონომიური რაიონებისათვის პროდუქციის მიწოდების და გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის გეგმას და მომხმარებლებისათვის იმ ძირითადი ნომენკლატურის პროდუქციის მიწოდების გეგმებს, რომე-

ლსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო ამტკიცებს.

2. შეასრულებენ საბითუმო საქონელბრუნვის, მათ შორის სასაწყობო საქონელბრუნვის, გეგმას რეალიზაციის ფასებში.

3. შეამცირებენ მიმოქცევის გეგმიან ხარჯებს საბითუმო საქონელბრუნვის პროცენტულად (სასაწყობო და სატრანზიტო ანგარიშსწორებაში მონაწილეობით).

4. გადაჭარბებით შეასრულებენ რეალიზაციისაგან მიღებული მოგების (გეგმიანი ზარალის შემცირების) კვარტალურ გეგმას.

5. შეასრულებენ შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებათა დამტკიცებულ გეგმას.

ამის გარდა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება:

— საკუთარი კაპიტალური მშენებლობის და მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება;

— შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა (გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევის რაოდენობა);

— ბაზებსა და საწყობებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დონე;

— არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების შემცირება, ხელფასის ფონდის ხარჯვა;

— გამოვლინებულ და რეალიზებულ ზედმეტ და გამოუყენებელ მატერიალურ ფასეულობათა მოცულობა;

— საექსპლუატაციოდ გადასაცემი იმ მშენებლობებისათვის მოწყობილობის მიწოდების გეგმის შესრულება, რომლებსაც აკომპლექტებენ საქკომპლექტის სამმართველო და „სოიუზგლავკომპლექტი“.

II. სამრეწველო საწარმოები

1. მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას.

2. შეასრულებენ საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას იმ პირობით, რომ აუცილებლად შესრულდეს ნაკეთობათა დაწესებული ნომენკლატურა და გამოშვებული პროდუქცია შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, ხოლო მეორადი ნედლეულის საწარმოებისათვის — შეასრულებენ გადამუშავებული მეორადი ნედლეულის ჯგუფური გამოსავლიანობის დაწესებულ თანაფარდობას.

3. შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას.

4. გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების კვარტალურ გეგმას.

5. შეასრულებენ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმას.

6. შეასრულებენ შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებათა დამტკიცებულ გეგმას.

ამის გარდა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება:

— კაპიტალური მშენებლობისა და მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება;

— შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა (გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევების რაოდენობა);

— საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება;

— წუნისაგან მიღებული ზარალის შემცირება და რეკლამაციების უქონლობა, ხელფასის ფონდის ხარჯვა;

— რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის მდგომარეობა.

III. სამეურნეო ანგარიშის დამამზადებელი სამმართველოებისა და მეორადი ნედლეულის კანტორები

1. შეასრულებენ დამზადების გეგმას ტონობით და მეორადი ნედლეულის სახეობათა მიხედვით.

2. შეასრულებენ მეორადი ნედლეულის ნომენკლატურის მიხედვით მიწოდების დამტკიცებულ გეგმას იმ პირობით, რომ ადგილი არ ექნება რეკლამაციებს გაგზავნილი ნედლეულის ხარისხის გამო.

3. შეამცირებენ მეორადი ნედლეულის დამზადებისა და პირველადი დამუშავების გეგმიან ხარჯებს.

4. გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების კვარტალურ გეგმას.

5. შეასრულებენ შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის ღონისძიებათა დამტკიცებულ გეგმას.

ამის გარდა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება:

— კაპიტალური მშენებლობისა და მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება;

— შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობა (გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევების რაოდენობა);

— ნედლეულისა და მზა პროდუქციის ნაშთების გეგმიანი ნორმატივების დაცვა;

არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების შემცირება, ხელფასის ფონდის ხარჯვა;

— გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუშაობის მდგომარეობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 22 დეკემბრის № 702 დადგენილებით დაწე-

ნებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა ორი პირველი ფულადი პრემიით, სამი მეორე და ოთხი მესამე ფულადი პრემიები.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით შეაჯამებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების მაჩვენებლები წარდგენილი იქნება საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშის საფუძველზე.

სამეურნეო ანგარიშის მომმარაგებელ-გამსაღებელი სამმართველოები, კანტორები, ბაზები, საწყობები და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სხვა ორგანიზაციები და საქმეორადნედლეულის სამმართველო პროფკავშირთა შესაბამის ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად წარუდგენენ ყოველკვარტალურად სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების მასალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მასალები, აგრეთვე ისეთი მასალები, რომლებიც შეიცავენ შეცდომებს, დამახინჯებულ მაჩვენებლებსა და უზუსტობას, შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას არ განიხილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები პირველი ფულადი პრემიებით, მეორე და მესამე ფულადი პრემიები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიენიჭებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს ფულადი პრემიები მიეცემათ იმ ზეგეგმითი მოგების (გეგმიანი ზარალის შემცირების) ხარჯზე, რაც ორგანიზაციამ (საწარმომ) მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 22 დეკემბრის № 702 დადგენილების შესაბამისად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ფულადი პრემიები მიეცემათ მუშაკთა რაოდენობის კვალობაზე პრემიების III სკალით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის და 1950 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ცვლილებათა მიხედვით (ამონაწერი თან ერთვის).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიის ოდენობა გადიდდება 25 პროცენტით სკალით გათვალისწინებული პირველი პრემიის თანხასთან შედარებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარჩინებულ მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის გამოიყენება:

ა) ორგანიზაციებსა და საწარმოებში, სადაც პრემიების დარიცხული თანხა 2000 მანეთამდეა, — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტი;

ბ) როდესაც დარიცხული პრემია 2000 მანეთზე მეტია — ორგანიზაციისათვის ან საწარმოსათვის დარიცხული თანხის 60-70 პროცენტი. დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

10502

სამრეწველო საწარმოების მუშაკთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი თანხებიდან არანაკლებ 50 პროცენტისა მოხმარდება მუშების დაჯილდოებას.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ დასაჯილდოებლად გამოყოფილი სახსრები უნდა შეადგენდეს ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები, მთავარი ბუღალტრები (უფროსი ბუღალტრები მთავარი ბუღალტრების უფლებებით) დაჯილდოვდებიან: როდესაც ორგანიზაციას ან საწარმოს მიენიჭა პირველი პრემია, — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია,—თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 40 პროცენტამდე და მესამე პრემია, — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 30 პროცენტამდე.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილ სახსრებს ხარჯავენ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ან ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ. სამ. ... რესპუბლიკური

უკეთუ ორგანიზაციებმა და საწარმოებმა არ შეასრულეს გათვალისწინებული მაჩვენებლები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს უფლება აქვთ ჩამოართვან პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ ორგანიზაციათა, საწარმოთა ხელმძღვანელებს.

ორგანიზაციათა, საწარმოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი და განავითარონ მუშებსა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შორის სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა — კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ მთავარ სამმართველოს ორგანიზაციათა და საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება.

ამონაწერი

სკალა პრემიებისა

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის

საწარმოთა განაწილება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით	პრემიების ოდენობა (მანეთობით)		
	პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100-250	1687	1125	900
250-500	2250	1687	1125
500-1000	4500	3375	2250
1000-2000	7312	5625	4500
2000-3000	11250	8437	6750
3000-5000	16875	11250	9562
5000-7500	19687	14062	11250
7500-10000	22500	16875	14062
10000-15000	28125	22500	16875
15000 და მეტი	39375	28125	22500

შენიშვნები პრემიების სკალისათვის:

1. პრემიების სკალა დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის და 1950 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ცვლილებათა მიხედვით.

2. პრემია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი ნაკლებია, განისაზღვრება იმ პრემიის შესაბამისი ნაწილის რაოდენობით, რაც დაწესებულია იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცს უდრის.

3. როდესაც რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოს ან ორგანიზაციას მიენიჭება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა — პრემიის ოდენობა საწარმოს გაუდიდდება 25 პროცენტით.

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციების, მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციების, მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისა და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წასახალისებლად დაუწესდეთ:

ა) გეოლოგიურ პარტიებს, ექსპედიციებსა და ტრესტებს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით;

— ორი მეორე ფულადი პრემია;

— სამი მესამე ფულადი პრემია;

ბ) მბურღავებისა და გვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ორი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით;

— სამი მეორე ფულადი პრემია;

— სამი მესამე ფულადი პრემია.

4. დამტკიცდეს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, პრემიების სკალა, № 1 დანართის თანახმად;

— სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მბურღავებისა და გვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის პრემიების ოდენობა, № 2 დანართის თანახმად.

5. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს:

— აცნობონ ქვესაუწყებო ორგანიზაციების ყველა მუშაკს და ფართოდ განუმარტონ მათ ორგანიზაციების, მბურღავებისა და გვირაბგამყვანი ბრიგადების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები;

— უზრუნველყონ, რომ დროზე იქნას წარდგენილი მასალები იმ ორგანიზაციების მიერ სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების შესახებ, რომლებიც წამოყენებული არიან წითელი დროშებისა და პრემიების მისანიჭებლად;

— განაზოგადონ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ორგანიზაციების გამოცდილება და უზრუნველყონ მისი ფართოდ დანერგვა სხვა ორგანიზაციებში.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 29 აპრილის № 305 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციათა და საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 29 მაისი, № 341.

 დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967
წლის 29 მაისის № 341
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი აღმავლობითა და შემოქმედებითი ინიციატივით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ გეოლოგია.

ტოპოგრაფთა და გეოდეზისტთა კოლექტივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალთა განვითარებას და მატერიალურ-ნედლეული ბაზის გაფართოებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს საძიებო და სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას, სასარგებლო წიაღისეულთა და, პირველ რიგში ქვანახშირის, რკინის, სპილენძისა და ვერცხლისწყლის მადნების, მინერალური სასუქების, მარაგის ზრდის დავალების შესრულებას, გეგმით გათვალისწინებული სხვა გეოლოგიური და საწარმოო დავალებათა წარმატებით რეალიზაციას, ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე მოწინავე საწარმოო გამოცდილების ყოველმხრივ გავრცელებას.

შეჯიბრების მონაწილეებმა უნდა მიაღწიონ გეოლოგიურ სამუშაოთა ღირებულების შემცირებას, ძირეული სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების რაციონალურად გამოყენებას, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, არამწარმოებლური ხარჯების ლიკვიდაციას, პირველ რიგში გაცდენებისა და ავარიებისაგან, წარმოების კულტურის ამაღლებას, სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესებას და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვას.

ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მოწინავე კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ზრდისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

მხარს უჭერენ რა გეოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების მოწინავე კოლექტივების ინიციატივას სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ჩაითვლებიან ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც:

პარტიებში, ექსპედიციებში, ტრესტში

მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ ძირითად გეოლოგიურ დავალებებს (ახალი საბადოების აღმოჩენა, ხელსაყრელი სტრუქტურების გამოვლინება, პრინციპული გეოლოგიური საკითხების გადაწყვეტა), აგრეთვე მარაგის ზრდის გეგმებს სამუშაოთა მაღალი ხარისხით, გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთან მიღწეულ უნდა იქნას:

— გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დამთავრების გეგმის და იმ გრაფიკის შესრულება, რომლის მიხედვითაც გეოლოგიური ანგარიშები უნდა ჩაბარდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მარაგის სახელმწიფო კომისიას, მარაგის ტერიტორიულ კომისიას და გეოლოგიურ ფონდებს, მათ შორის ანგარიშების სულ ცოტა 50 პროცენტს უნდა ჰქონდეს მაღალი შეფასება;

— ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გეგმის შესრულება, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებას;

— საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის შესრულება, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— მუშაობის მაღალი ეკონომიური მაჩვენებლები, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და მოგების მიღება სამუშაოთა შესრულებულ მოცულობაზე გადაანგარიშებით.

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ პარტიებსა და ექსპედიციებში

— შეასრულებენ გეგმას ნატურალური მაჩვენებლებით, მოცემული ნომენკლატურის მიხედვით, გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში;

— გადაჭარბებით შეასრულებენ ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ სამუშაოთა ღირებულების შემცირების დავალებებს სამუშაოთა შესრულებულ მოცულობაზე გადაანგარიშებით;

— გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას;

— შეასრულებენ ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გეგმას, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებას;

— შეასრულებენ საცხოვრებელი ფართობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმას, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ცენტრალურ სარემონტო მექანიკურ სახელოსნოებში, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებიან

— შეასრულებენ გეგმას ფულადი გამოხატულებით და მოცემული ნომენკლატურის მიხედვით და უზრუნველყოფენ პროდუქციის მაღალ ხარისხს;

— გადაჭარბებით შეასრულებენ მთელი პროდუქციის და მის უმთავრეს სახეობათა თვითღირებულების შემცირების დავალებებს;

— გადაჭარბებით შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას;

— გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას, შეასრულებენ ახალი ტექნიკის დანერგვისა და ახალი სათადარიგო ნაწილების წარმოების ათვისების გეგმას;

— უზრუნველყოფენ სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მასალების მომჭირნეობას.

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ ცენტრალურ ლაბორატორიებში

— გადაჭარბებით შეასრულებენ ყველა სახის ლაბორატორიულ სამუშაოთა გეგმას ანალიზების მაღალი ხარისხით;

— გადაჭარბებით შეასრულებენ მოგების გეგმას;

— შეასრულებენ ახალი პროგრესული მეთოდების დანერგვის დავალებებს, შეიმუშავებენ და დანერგავენ ახალ მეთოდიკასა და ტექნიკას.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გასათვალისწინებელი მაჩვენებლები

— ბურღვის სიჩქარის გეგმის შესრულება (მწარმოებლურობა ჩარხთვეზე);

— ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება;

— ხელფასის ფონდის გადახარჯვის უქონლობა (სამუშაოთა შესრულებულ მოცულობაზე);

— შრომის დისციპლინის, უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობა;

— მომჭირნეობა რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებათა დანერგვისაგან;

— საზოგადოებასა და ყოფაცხოვრებაში მშრომელთა ქცევის წესების დაცვა (ამორალური საქციელის აღკვეთა).

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭება ხდება ყოველკვარტალურად, გეოლოგიის სამმართველოს და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართ-

ველოს რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ და გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს მიანიჭებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების მაჩვენებლები წარდგენილი იქნება საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გეოლოგიურ ორგანიზაციებს პრემიები მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების შედეგად შექმნილი ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რასაც ორგანიზაცია ღებულობს კალენდარული წლის დამდეგიდან, ხოლო მბურღავთა და გვირაბგამყვან ბრიგადებს — იმ პარტიის, ექსპედიციის ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ეს ბრიგადები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ტრესტის, ექსპედიციის კოლექტივისათვის პრემიის ოდენობის განსაზღვრისას მომუშავეთა საერთო რაოდენობიდან გამოირიცხებიან პარტიების მუშაკები, თუ მათი დაჯილდოება ცალკე ხდება, ხოლო პარტიებიდან — ბრიგადებში მომუშავეები, თუ ისინი ცალკე ჯილდოვდებიან.

ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის მინიჭებული ფულადი პრემიები დაიხარჯება: როდესაც პრემია დარიცხულია 2 ათას მანეთამდე ჩათვლით, — მთლიანად იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში; როდესაც პრემია დარიცხულია 2 ათას მანეთზე მეტი — 70 პროცენტამდე ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოხმარდება ორგანიზაციის, საწარმოს მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის გამოყოფილი სახსრები უნდა შეადგენდეს ორგანიზაციის მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

ორგანიზაციათა უფროსები, მთავარი ინჟინრები, მთავარი გეოლოგები და მთავარი ბუღალტრები (უფროსი ბუღალტრები მთავარი ბუღალტრების უფლებებით) შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც ორგანიზაციას მიენიჭება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პრემიის ოდენობას დაუწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით. გათვალისწინებული მაჩვენებლების შეუსრულებლო-

ბისას ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეიძლება ჩამოერთვას პრემია ნაწილობრივ ან მთლიანად.

სოციალისტური შეჯიბრებისათვის დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევიან ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 29 მაისის № 341
დადგენილების დანართი № 1

ს კ ა ლ ა

პრემიებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ

გეოლოგიური ორგანიზაციების და საწარმოების დაყოფა მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით		პრემიის ოდენობა მანეთობით კვარტალში		
		1 პრემია	2 პრემია	3 პრემია
100-დან 150	კაცამდე	800	600	400
151-დან 200	„	1200	900	600
201-დან 250	„	1600	1200	800
251-დან 300	„	1700	1300	850
301-დან 400	„	2000	1500	1000
401-დან 500	„	2200	1650	1100
501-დან 750	„	3400	2550	1700
751-დან 1000	„	4500	3400	2250
1001-დან 1250	„	5200	3900	2600
1251-დან 1500	„	6000	4500	3000
1501-დან 1750	„	6600	4950	3300
1751-დან 2000	„	7300	5500	3650
2001-დან 2500	„	9000	6700	4500
2501-დან 3000	„	11200	8400	5600
3001-დან 4000	„	14000	10500	7000
4001-დან 5000	„	16800	12600	8400
5001-დან 7500	„	19600	15400	11200

შენიშვნა: 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას პრემიები გადიდდება 25 პროცენტით სკალით გათვალისწინებული პრემიის თანხასთან შედარებით.

2. იმ ორგანიზაციას, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, პრემია მიეცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის თანხიდან, რაც დაწესებულია ორგანიზაციისათვის, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის
1967 წლის 29 მაისის № 341
დადგენილების დანართი № 2

პრემიის ოდენობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის

პირველი პრემია — 800 მანეთი
მეორე პრემია — 600 მანეთი
მესამე პრემია — 400 მანეთი.

შენიშვნები:

1. აღნიშნული პრემიები დაწესებულია ბრიგადების იმ რაოდენობისათვის, ბურღვის უფროსი ოსტატის ჩათვლით, სადაც მომუშავეთა რიცხვი 10 კაცს უდრის.

როდესაც ბრიგადის რიცხვობრივი შემადგენლობა 10 კაცზე ნაკლები ან მეტია, პრემიის აღნიშნული ოდენობა იცვლება ბრიგადაში მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად.

2. მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის მინიჭებული ფულადი პრემიები იხარჯება მთლიანად მუშების, უფროსი ბურღვის ოსტატებისა და სამთამადნო ოსტატების დასაჯილდოებლად.

პრემიების განაწილება წარმოებს ბრიგადის თვითეული წევრის მიერ ნამუშევარი დროის და მიკუთვნებული თანრიგის პროპორციულად.

7 თბილისის მეტროპოლიტენის საწარმოო ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, მატარებლების შეუფერხებელი და უშიშარი მოძრაობის უზრუნველყოფის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

1. მიღებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის და ამიერკავკასიის რკინიგზის სარკინიგზო ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის წინადადება თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს დარგებისა და სამეურნეო ერთეულების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

2. დამტკიცდეს თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების, დარგებისა და სამეურნეო ერთეულების წასახალისებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ფულადი პრემიები მიეცეთ მუშაკთა რაოდენობის მიხედვით, თანდართული სკალის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისას ორგანიზაციას, საწარმოს პრემია გაუდიდდება 25 პროცენტით, სკალით გათვალისწინებულ პრემიასთან შედარებით.

4. დაწესდეს, რომ გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება პირველი ფულადი პრემიით წარმოებს ყოველკვარტალურად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის წარდგენით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი, № 379.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 13 ივნისის № 379
დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივის სოციალისტური შეჯიბრებისა

თბილისის მეტროპოლიტენის საწარმოო ერთეულებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია მოსახლეობის გადაყვანაზე მოთხოვნილების უფრო სრულად უზრუნველყოფა, 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

იმ მიზნით, რომ შემდგომ გაჩაღდეს მეტროპოლიტენის მუშაკთა შეჯიბრება და შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის, მგზავრთა გადაყვანის პროცესის სრულყოფისათვის, ახალი რეზერვების გამოძებნისა და, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკურ საშუალებათა ეფექტიანად გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და გადაყვანის თვითღირებულების შემცირებისათვის, მასალებისა და ფულადი სახსრების მომჭირნეობისათვის ბრძოლაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ მეტროპოლიტენის დარგების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოსათვის

მგზავრთა გადაყვანის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულების შემცირება, ხელფასის ფონდის ეკონომია, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის და ტექნიკური პროგრესის დარგში სხვა ღონისძიებათა შესრულება, ელექტროენერგიის ხარჯვის მომჭირნეობა, ზეგეგმითი ეკონომიის ან დოტაციების შემცირების მიღწევა, მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფა.

დარგებისა და სამეურნეო ერთეულებისათვის

ყველა დარგისა და სამეურნეო ერთეულისათვის საერთო სავალდებულო ძირითადი მაჩვენებლები:

საწარმოო გეგმის შესრულება, გეგმური თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ზეგეგმითი ეკონომიის ან ზარალის შემცირების მიღწევა, ახალი ტექნიკის, წარმოების მოწინავე ტექნოლოგიისა და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმის შესრულება, ხელფასის ფონდის მომჭირნეობა, მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფა.

მოძრაობის დარგი

მგზავრთა მომსახურების კულტურის უზრუნველყოფა, მგზავრთა საჩივრების უქონლობა.

სადგურებში სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფა და მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის შესრულება.

მოძრავი შემადგენლობის დარგი

ვაგონების საერთო გარბენის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება, ერთი ვაგონ-კილომეტრის (მგზავრ-კილომეტრის) თვითღირებულების შემცირება, ვაგონების რემონტის გეგმის შესრულება დაწესებულ ვადებში, წევაზე ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირება ნორმებთან შედარებით. ერთი ვაგონის საშუალო-სადღეღამისო გარბენისა და ხაზზე ვაგონის მუშაობის მოცემული ხანგრძლივობის შესრულება. ვაგონების სარემონტთაშორისო გარბენის გადიდება.

ლიანდაგისა და სანტექნიკის დარგი

ლიანდაგისა და კონტაქტური რელსის ბალური შეფასების შემცირება გეგმასთან შედარებით. მატარებლების მსვლელობა სიჩქარის განუსაზღვრებლად გრაფიკთან შედარებით.

სანტექნიკური დანადგარების შეუფერხებელი მუშაობის დარღვევის შემთხვევების უქონლობა.

სამეურნეო მატარებლებისა და ავტოტრანსპორტის გარკვეული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.

ელექტრომექანიკური დარგი

ენერგომომარაგების, ეკსკალატორებისა და საკაბელო ქსელის მოწყობილობათა დაუზიანებლობა. საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიის მომჭირნეობა.

კავშირის, ცენტრალიზაციის, ბლოკების და კავშირგაბმულობის დარგი

კავშირის ცენტრალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა დაზიანების უქონლობა. ავტომატური საკონტროლო პუნქტებისა და საათების მეურნეობის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა.

გვირაბების, შენობათა და ნაგებობათა დისტანცია

სარემონტო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კარგი ხარისხით. გვირაბების, შენობათა და ნაგებობათა

კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება. სადგურების მუდამ შენახვა სათანადო ესთეტიკურ მდგომარეობაში.

გასათვალისწინებელი მაჩვენებლები

მთლიანად მეტროპოლიტენისა და ყველა სამეურნეო ერთეულისათვის გათვალისწინებული იქნება: შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის მდგომარეობა. სახსრების ათვისება შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკისათვის. შრომის დისციპლინის მდგომარეობა.

უპირატესობანი მიენიჭებათ იმ კოლექტივებს, რომლებშიაც წარმატებით ვითარდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, სრულდება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი, ნერგება ნოვატორებისა და მოწინავე საწარმოების გამოცდილება, უზრუნველყოფილია სამუშაოთა მაღალი ხარისხი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

1. რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

2. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს დარგებისა და სამეურნეო ერთეულების კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა დაჯილდოება იწარმოებს იმ ოდენობით, რაც დაწესებულია პრემიების სკალით (დანართი).

3. შეჯიბრებაში წარჩინებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებში, სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთზე ნაკლებია, გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, როდესაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთს აღემატება — დარიცხული პრემიის 60-70 პროცენტამდე, პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს საწარმოს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

როდესაც საწარმოს მიენიჭება პირველი პრემია, საწარმოს ხელმძღვანელები და განთავისუფლებული პროფმუშაკები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევიან საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირის კომიტეტებთან შეთანხმებით.

საწარმოთა კოლექტივებს სოციალისტური შეჯიბრებისათვის პრემია მიეცემათ მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულების შემცირებით შექმნილი იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომელიც საწარმომ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან.

4. გარდამავალი წითელი დროშების გადაცემა მოხდება საწარმოთა კოლექტივების საერთო კრებებზე, რომლებიც ჩატარდება დროშის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ათი დღის ვადაში.

5. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და პროფკავშირის საგზაო კომიტეტი საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა წარმოუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს კანდიდატს, რომელსაც უნდა მიენიჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეცეს ფულადი პრემია.

ცნობები იმ სამეურნეო ერთეულების მუშაობის შესახებ, რომლებიც წამოყენებული არიან გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებისა და პრემიის მიცემის კანდიდატებად, წარმოდგენილ უნდა იქნას სოციალისტური შეჯიბრების პირობების სრული შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

თბილისის მეტროპოლიტენის
კოლექტივთა სოციალისტური
შეჯიბრების პირობებისა

ს კ ა ლ ა

პრემიებისა, რომლებიც უნდა მიეცეს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს

საწარმოში, ორგანიზაციაში მომუშავეთა რაოდენობა (კაცი)	პირველი პრემიის ოდენობა მანეთობით
100-დან 250-მდე	1688
250-დან 500-მდე	2250
500-დან 1000-მდე	4500
1000-დან 2000-მდე	7313

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ საწარმოებისათვის, სადაც მომუშავეთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად პრემიის თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოსათვის, სადაც მომუშავეთა რაოდენობა 100 კაცს უდრის.

8 საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე კომპლექსური გადაყვანის ვადის შესახებ

აღინიშნოს, რომ შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1967 წლის 7 მარტის № 199 დადგენილებისა „საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გასწიეს საჭირო მოსამზადებელი მუშაობა საწარმოების, ორგანიზაციებისა და უწყებების კომპლექსურ გადასაყვანად ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნას წინადადებანი, რომლებიც წარმოდგენილია საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა და მოსამსახურეთა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადამყვანი კომისიის მიერ.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნება დაგვრთოს, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და უწყებების მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე განხორციელდეს 1967 წლის 1 აგვისტოდან.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს 1967 წლის 1 აგვისტომდე დაამთავრონ მთელი მოსამზადებელი სამუშაოები სამუშაო კვირის ახალ რეჟიმზე გადაყვანისათვის და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 7 აპრილის № 255 დადგენილების მე-3 და 4 პუნქტებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 16 ივნისი, № 390.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
დადგენილებები

9 სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მოიწვიონ ქვესაუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების სპეციალური თათბირები, გააცნონ მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილება, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბანკის კრედიტების რაციონალურად და მომჭირნეობით ვამოყენება სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი ახალი საამქროების მშენებლობისა და მოქმედი საამქროების გაფართოებისათვის;

ბ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტების სწორად და ეფექტიანად გამოყენებას საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროზე შესრულებას, ბანკის სესხთა და მიმწოდებლებისადმი დავალიანების დაფარვას;

გ) აწარმოონ გეგმიანი მაჩვენებლების შესაბამისად საწარმოებისა და ორგანიზაციების დროულად დაფინანსება საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდისა და სხვა სამეურნეო მიზნებისათვის;

დ) სისტემატურად შეამოწმონ ხელფასის ფონდების ხარჯვის მდგომარეობა და მიიღონ ზომები ხელფასის გადახარჯვის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, ხოლო დამნაშავე პირები მისცენ სასტიკ პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 7 მაისი, № 291.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 280

1967 წლის 3 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებისა „სამრეწველო წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“ და სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უზრუნველყოს დაკრედიტების პროცესში რესურსების ყველაზე მიზანშეწონილად წარმართვა პროგრესულ წარმოებათა განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ისეთი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდება, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებით სარგებლობს, ფასიანი მომსახურების გაფართოება, საწარმოთა შემოსავლიანობის გადიდებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა და ჩვენს ქვეყანაში ფულის მიმოქცევის შემდგომი განმტკიცება.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა საკრედიტო გეგმების შესაბამისად აძლიოს კრედიტი:

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სეზონური და სხვა ზენორმატიული მარაგისათვის, რომლის დაგროვება გამომდინარეობს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებიდან;

მრეწველობის არასეზონური დარგების საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნორმატიული მარაგის შექმნის ხარჯებისა და ხელფასისათვის, საწარმოთა საკუთარი საბრუნავი სახსრების წილობრივი მონაწილეობისა და ბანკის კრედიტის პირობებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის წარმოებასთან და დამზადებასთან დაკავშირებული სეზონური დანახარჯებისათვის;

ახალ წარმოებათა მომზადებასთან და ახალი სახის პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის (იმ ხარჯების გამოკლებით, რომელთა დაფინანსება ახალი ტექნიკის ათვისების ფონდიდან ხდება), აგრეთვე სამთომოსამზადებელი და გადახსნის სამუშაოების ხარჯებისათვის, ამ მიზნებისათვის დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების გადამეტებით.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ახალი პროდუქციის გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის, საიმედოობისა და ხანგრძლივობის ამაღლების ხარჯებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის;

პროდუქციის მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის, გაგზავნილი საქონლისა და გაწეული მომსახურების საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სხვა საჭიროებისათვის;

საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

სხვა მიზნებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მსვლელობიდან.

3. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოების დაკრედიტება მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისა და ხელფასის დანახარჯებისათვის წარმოებს შემდეგ ძირითად პირობებში:

კრედიტის წილობრივი მონაწილეობა მატერიალურ ფასეულობათა ანაზღაურებასა და წარმოების ხარჯებში უნდა შეადგენდეს 40-50 პროცენტს;

საწარმოთა საკუთარი საბრუნავი სახსრები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტით იცვლება, ჩაირიცხება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში განსაკუთრებულ ანგარიშზე და გამოყენებული იქნება მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის;

მატერიალურ ფასეულობათა გასანაღდებლად და ხელფასის ხარჯებისათვის გაცემული კრედიტის დაფარვას ეწევიან საწარმოები პროდუქციის რეალიზაციის ფაქტიური მიმდინარეობის შესაბამისად, მაგრამ იმ რაოდენობით, რომელიც არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც ეს გამომდინარეობს რეალიზაციის გეგმიდან.

4. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს:

ა) აძლიოს სამრეწველო საწარმოებს სესხი:

ზენორმატიული საწარმოო მარაგისათვის, სპეცინსტრუმენტის, სპეცმოწყობილობის, დაუმთავრებელი წარმოების და მზა პროდუქციის ნაშთებისათვის და მომავალი პერიოდების ხარჯებისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებში შეიქმნება ახალი პროდუქციის გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა, აგრეთვე საქონლის ქვედახარისხებისა და საჭირო ასორტიმენტის მარაგის შესაქმნელად, სავაჭრო ორგანიზაციებთან პირდაპირი

ხელშეკრულებებით მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, — 12 თვემდე ვადით;

ნედლეულის, მასალებისა და დაუმთავრებელი წარმოების ზენორმატიული ნაშთებისათვის, რომლებიც შეიქმნება წარმოების ორგანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით, — 12 თვემდე ვადით;

ნედლეულის, მასალების, დაუმთავრებელი წარმოების, სპეცინსტრუმენტისა და სპეცმოწყობილობის ზენორმატიული ნაშთებისათვის, რომლებიც შეიქმნება წარმოების პროგრამის დადგენილი წესით შეცვლასთან, პროდუქციის ცალკეულ სახეობათა გამოშვების ვადის გადატანასთან, მისი ნომენკლატურის შეცვლასთან, პროდუქციის გამოშვების შეწყვეტასთან ან წარმოებიდან მოხსნასთან, შეკვეთების შესრულების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით, — 6 თვემდე ვადით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან;

ბ) აძლიოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებს სესხი:

ხელფასის გასაცემად სახსრების დროებითი დანაკლისის დროს — 30 დღემდე ვადით იმ ვარაუდით, რომ დაიფაროს იგი ხელფასის გადასახდელებისათვის დაწესებული რიგითობის წესით;

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის უზრუნველყოფით დროებითი საჭიროებისათვის, რაც წამოიჭრება საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის გეგმების შესრულების პროცესში, — 60 დღემდე ვადით;

გ) გაუგრძელოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებს:

დროებითი საჭიროებისათვის გაცემული სესხის გადახდის ვადა იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამ სესხის დაფარვა დაწესებულ ვადაში საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, — 30 დღემდე ვადით;

იმ გეგმიანი სესხის დაფარვის ვადა, რაც გაცემულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა უზრუნველყოფით და სეზონური დანახარჯებისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ამ ფასეულობათა გამოყენება და რეალიზაცია ან დანახარჯების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, — 6 თვემდე ვადით.

5. შეწყდეს 1968 წლის 1 იანვრიდან:

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ მიზნობრივი სესხის მიცემა ხეტყის პროდუქციის მომხმარებელი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თუ მათს საანგარიშსწორებო ანგარიშებზე არ მოიპოვება სათანადო სახსრები აღნიშნული პროდუქციის საანგარიშსწორებო დოკუმენტების გასანაღდებლად;

სახსრების დაჯავშნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის ხარჯზე ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა განსაკუთრებულ ანგარიშებზე ხელფასის გასაცემად და კოლმეურნეებთან ანგარიშის გასასწორებლად ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენებისათვის, აგრეთვე კრედიტის მიცემა ამ საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის,

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან ანგარიშსწორების მდგომარეობის მიუხედავად, ფურაჟის, საწვავის ანგარიშების გასანაღდებლად და ტყის გამოზიდვაზე გამოყენებული ტრანსპორტისათვის კოლმეურნეებთან ანგარიშის გასასწორებლად.

6. დაწესდეს, რომ კრედიტებს ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის ტექნიკური სრულყოფისა და გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებისათვის, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ხარჯებისათვის (სადგომების გადაკეთების ხარჯების ჩათვლით იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით) მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მათ სამომსახურეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს — 6 წლამდე ვადით პირველი სესხის გაცემის დღიდან.

7. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 სექტემბრის № 734 დადგენილებით გათვალისწინებულ კრედიტს მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ნაგებობათა მშენებლობისათვის გასცემს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი იმ წესის შესაბამისად, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 28 აპრილის №883 განკარგულებით.

8. იმ მიზნით, რომ უფრო ოპერატიულად გადაიჭრას ძირითადი ფონდების დანახარჯების დაკრედიტებასთან დაკავშირებული საკითხები, დაწესდეს, რომ კრედიტი ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის ტექნიკური სრულყოფისა და გაუმჯობესების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სხვა ღონისძიებებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციისათვის, ახალი პროდუქციის გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის, საიმედოობისა და გამძლეობის გადიდების, აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ხარჯებისათვის მიეცემათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შემდეგი ოდენობით ერთი ღონისძიებისათვის:

100 ათას მანეთამდე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის განყოფილების (საქალაქო სამმართველოს, სააგენტოს) ხელმძღვანელის ნებართვით, საწარმოთა და ორგანიზაციათა შუამდგომლობით;

300 ათას მანეთამდე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო კანტორის ხელმძღვანელის ნებართვით, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ან მათი მთავარი სამმართველოების (სამმართველოების), აგრეთვე გაერთიანებების, კომბინატების, ტრესტების შუამდგომლობით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კანტორების ადგილსამყოფელის მიხედვით;

500 ათას მანეთამდე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური (მოკავშირე რესპუბლიკის) კანტორის ხელმძღვანელის ნებართვით, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ან მათი მთავარი სამმართველოების (სამმართველოების, გაერთიანებების), ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით;

იმ თანხის ოდენობით, რაც 500 ათას მანეთს აღემატება, — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ან სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის, ან მათი მოადგილეების ნებართვით, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების შუამდგომლობით.

9. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს აძლიონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებსა და ორგანიზაციებს კრედიტი ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის ტექნიკური სრულყოფისა და გაუმჯობესების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის, ახალი პროდუქციის გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის, საიმედოობისა და გამძლეობის გადიდების, აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებისათვის, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სესხთა ვადაგასული დავალიანება.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა გასცენ კრედიტი აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად, დამოუკიდებლად იმისა, ეწევა თუ არა ამ დოკუმენტაციის შემუშავებას სხვა ორგანიზაცია ან თვით ის საწარმო (ორგანიზაცია), რომელიც ამ ღონისძიებებს ახორციელებს.

10. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სარგებლობისათვის პროცენტები გადახდებათ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს:

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა იმ არასეზონური ზენორმატიული მარაგისათვის გაცემულ სესხზე, რომლის დაგროვება გათვალისწინებულია გეგმით; სესხზე, რომელიც მიეცემათ სამრეწველო საწარმოებს ბრუნვის მიხედვით, იმ დავალიანების ნაწილში, რაც აღემატება მათთან შენაცვლებული საკუთარი საბრუნავი სახსრების თანხას; სესხზე, რომელიც გაცემულია ახალ წარმოებათა მომზადებასა და ახალი სახის პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, აგრეთვე სამთომოსამზადებელი და გადახსნის სამუშაოების ხარჯებისათვის; დროებითი საჭიროებისათვის გაცემულ და ყველა სხვა სესხზე, რომლებიც არ არის აღნიშნული ამ პუნქტში, — საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების საფასურის დონის შესაბამისად;

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სესხზე, რასაც გასცემს სსრ კავშირის ბანკი გამონაკლისის სახით; ხელფასის გასაცემად გაცემულ სესხზე; სა-

კუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით. შესავსებად გაცემულ სესხზე; აგრეთვე განვადებულ საანგარიშო კრედიტებზე, რომლებიც გაცემულია საწარმოთა და ორგანიზაციათა ურთიერთდავალიანების ერთჯერადი ჩათვლების დასამთავრებლად, — იმ ოდენობით, რაც გადიდებული იქნება წლიური ერთი პროცენტით საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების საფასურთან შედარებით;

საანგარიშსწორებო დოკუმენტების უზრუნველყოფით გაცემულ სესხზე გაგზავნილი საქონლისა და გაწეული მომსახურებისათვის, აკრედიტივებისა და განსაკუთრებული ანგარიშების გასახსნელად, ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკების შესაძენად და იმ სესხზე, რაც გაცემულია კოლმეურნეობებისათვის ავანსების მისაცემად კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა მიხედვით — წლიური ერთი პროცენტის რაოდენობით;

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სეზონური ზენორმატიული მარაგისა და წარმოების სეზონური დანახარჯებისათვის გაცემულ სესხზე; იმ სესხზე, რომელიც გაცემულია ახალი ტექნიკის დანერგვისათვის და წარმოების ორგანიზაციის ტექნიკური სრულყოფისა და გაუმჯობესების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, ახალი პროდუქციების გამოშვების, ნაკეთობათა ხარისხის, საიმედოობისა და გამძლეობის ამაღლების სხვა ღონისძიებებისათვის, აგრეთვე საანგარიშსწორებო კრედიტების მიხედვით — წლიური 2 პროცენტის რაოდენობით; ვადაგასულ სესხებზე — იმ ოდენობით, რაც გადიდებული იქნება წლიური 2 პროცენტით საწარმოო ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების საფასურთან შედარებით.

11. დაწესდეს, რომ სამინისტროები, უწყებები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო აღმასკომები წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებას განაცხადებს 45-დღიან მოკლევადიან კრედიტებზე დაგეგმილი კვარტალის დაწყებამდე იმ წესით, რასაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი დაადგენს.

შეჯამებული საკრედიტო გეგმის პროექტს საკასო გეგმასთან ერთად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ხოლო ასლს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაგეგმილი კვარტალის დაწყებამდე 15 დღით ადრე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო წარუდგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასკვნებს საკრედიტო და საკასო გეგმების პროექტების გამო, დაგეგმილი კვარტალის დაწყებამდე არა უგვიანეს 10 დღისა.

12. დაწესდეს, რომ ანგარიშსწორება იმავქალაქის მიწოდებათა გამო, აგრეთვე სხვა ქალაქის ანგარიშსწორება, მატერიალური ფასეულობისა და მომსახურებისათვის, რომლებიც მიღებულია მიღება-ჩაბარების დოკუმენტებით, წარმოებს უპირატესად ჩეკებით ლიმიტირებული და არალიმიტირებული საჩე-

კო წიგნაკებიდან, საგადამხდელო დავალებებით ან გეგმიან გადასახდელთ: წესით.

13. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისა და ანგარიშის დროზე გასწორებისათვის:

უფლება მიენიჭოთ მყიდველებს იმ შემთხვევებში, თუ მიმწოდებლებმა არაერთხელ გაუგზავნეს ისეთი პროდუქცია, რომელიც ხარისხისა და ღირსების მხრივ არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (როდესაც ეს დადასტურებულია პროდუქციის მიღების აქტებით), გადაიხადონ მისი ღირებულება მხოლოდ ხარისხის მხრივ მიღების შემდეგ (მიღების დაწესებული ვადების ფარგლებში), ამასთან წინასწარ აცნობონ ეს მიმწოდებელს და ბანკის სათანადო დაწესებულებებს. ანგარიშსწორების ასეთი წესი შეიძლება შემოღებულ იქნას 6 თვემდე ვადით. ამ მყიდველთა სახელზე საანგარიშსწორებო დოკუმენტების უზრუნველყოფით გაგზავნილი საქონლისათვის კრედიტი არ გაიცემა;

დაწესდეს, რომ გადასახდელთა სისტემატური დაგვიანებისას (დაგვიანების ხანგრძლიობის დამოუკიდებლად) მიმწოდებელს უფლება აქვს გადაიყვანოს სხვა ქალაქის უწესო გადამხდელი ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმაზე, ხოლო იმავქალაქელი გადამხდელი — პროდუქციის წინასწარ ანაზღაურებაზე;

გადიდდეს იმ ჯარიმის ოდენობა, რასაც მიმწოდებლის სასარგებლოდ ახდევინებენ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და მომსახურებისათვის საგადამხდელო მოთხოვნების აქცეპტზე უსაფუძვლო სრული ან ნაწილობრივი უარისათვის იმ თანხის 5 პროცენტამდე, რომლის აქცეპტზე მყიდველმა უარი განაცხადა;

დაწესდეს მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოებისათვის (კაპიტალური მშენებლობის სახით), ვადაგასულ გადასახდელთა საურავის განაკვეთი ვადაგასული გადასახდელის თანხის 0,03 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგასულ დღეში.

14. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გააფართოოს საგადამხდელო მოთხოვნების შემდგომი აქცეპტის გამოყენების პრაქტიკა, ამასთან გაადიდოს ცალკე შემთხვევებში აქცეპტის ვადა 10 დღემდე.

15. დაწესდეს, რომ აუნაზღაურებელი ტვირთები შემოდის მყიდველთა პასუხსაგებ შესანახად შემდეგ შემთხვევებში:

როდესაც მყიდველმა უარი განაცხადა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის საგადამხდელო მოთხოვნის აქცეპტზე;

როდესაც მყიდველი სისტემატურად აგვიანებს ანგარიშის გასწორებას მიმწოდებელთან ან აგვიანებს მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების გადახდას იმ ფინანსური კონტროლის მოტივებით, რომელსაც ბანკი ახორციელებს. ამ შემთხვევებში აუნაზღაურებელი ტვირთები გადაეცემა პასუხსაგებ შესანახად მიმწოდებელთა განკარგულებით.

გადიდდეს იმ ჯარიმის ოდენობა, რომელსაც დადგენილი წესით ახდევინებენ მიმწოდებლის სასარგებლოდ, როდესაც მყიდველმა დაარღვია აუნაზღაურე-

ბელი ტვირთების პასუხსაგები შენახვის რეჟიმი, იმ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების 8 პროცენტამდე, რომლებიც გამოყენებულია აუნაზღაურებლად ან არ არის გაცემული მიმწოდებლის მოთხოვნის თანახმად.

16. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ურთიერთდავალიანების ერთჯერად ჯგუფურ ჩათვლებში, კრედიტი ამ ჩათვლების ანგარიშსწორების დასამთავრებლად 60 დღემდე ვადით და საჭირო შემთხვევებში გაუგრძელოს აღნიშნული კრედიტის დაფარვის ვადა 30 დღემდე.

17. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა აძლიოს სამინისტროებს, უწყებებს, მათ მთავარ სამმართველოებს (სამმართველოებს), აგრეთვე საწარმოო გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებზედაც ვრცელდება მთავარი სამმართველოების სამეურნეო ანგარიშის უფლებები, კრედიტი:

ბრძანებებით, რომელთა მიხედვით საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნდა ჩამოერთვათ მოგება, რაც განკუთვნილია საფინანსო გეგმების შესაბამისად პროდუქციის გეგმიან თვითღირებულებასა და საბითუმო ფასს შორის არსებული განსხვავების ასანაზღაურებლად გეგმიან-საზარალო საწარმოებში (ორგანიზაციებში) და საბრუნავი სახსრების ზრდისათვის. აღნიშნული კრედიტი გაიცემა გეგმის მიხედვით გადასანაწილებელი მოგების თვიური თანხის ფარგლებში იმ ვადით, ვიდრე შემოვა გადასახდელი ბრძანების მიხედვით ან მიღებული იქნება უწყება სახსრების უქონლობის შესახებ;

ბრძანებებით, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს საწარმოთა და ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების გადანაწილება დადგენილი წესით.

საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ჩამორთმეული მოგებისა და საბრუნავი სახსრების თანხები გამოყენებულ იქნას უშუალოდ აღნიშნული კრედიტის დასაფარავად.

თუ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეექმნათ დროებითი ფინანსური სიძნელეები, მიეცეთ მათ კრედიტი აღნიშნული ბრძანებების გასანაღდებლად 20 დღემდე ვადით. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს არ შეაჩერონ ამ კრედიტის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ექნებათ სესხთა ვადაგასული დავალიანება 30 დღემდე ხანგრძლიობით.

18. წვრილმან გადასახდელთა გამსხვილებისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტების რაოდენობის შემცირების მიზნით:

ა) დაწესდეს, რომ იმავქალაქის ანგარიშსწორების გამო საგადამხდელო მოთხოვნებს მიიღებენ შესასრულებლად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის დაწესებულებები არანაკლებ 50 მანეთისა;

ბ) დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ 1967 წელს ღონისძიებანი, რათა გამსხვილდეს უნაღდო ანგარიშსწორება, გაგრძელდეს (სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და კონტრაგენტებთან შეთანხმებით) ანგარიშსწორების პერიოდები და შემცირდეს რაოდენობა საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა ელექტროენერგიის და თბოენერგიის, გაზის, ტელეფონის, რადიოს და სხვა სახის მომსახურების სარგებლობისათვის, აგრეთვე სავალდებულო გა-

დასახდელთა გადახდევინების დროს. აღნიშნული ღონისძიებანი განახორციელონ ბიუჯეტიდან ასიგნებათა გაუდიდებლად;

ბ) პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა სოციალური დაზღვევის ანგარიშსწორების ცენტრალიზაციას.

19. დაწესდეს, რომ წარმოების განვითარების ფონდის სახსრები ინახება საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეულ ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, ხოლო მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები — მათს საანგარიშსწორებო ანგარიშებზე: საბინაო მშენებლობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის განხორციელების დროს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრებს შესაბამის ნაწილში გადარიცხავენ საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის სამშენებლო ბანკში ამ მშენებლობის დაფინანსების ანგარიშებზე.

20. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათი საანგარიშსწორებო ანგარიშებიდან ხელფასის გადასახდელად დაწესებული რიგითობის მიხედვით სახსრები მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე მუშაკთა დასაჯილდოებლად, მუშაობის წლიური შედეგებისათვის გასამრჯელოს მისაცემად, აგრეთვე მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

21. იმ მიზნით, რომ უკეთესი შესაძლებლობანი მიეცეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მათს განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების მანევრირებისათვის, ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს დახუროს სამინისტროების, უწყებების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სამმართველოების (განყოფილებების) შუამდგომლობით საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალური რემონტის განსაკუთრებული ანგარიშები იმ ვარაუდით, რომ ამ სახსრების ხარჯვა წარმოებდეს საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებიდან ზემდგომი ორგანიზაციების კონტროლით.

22. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების დროს უზრუნველყოს დიფერენცირებული მიდგომა საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი მათთვის დამტკიცებული პროდუქციის რეალიზაციის გეგმების (გაგზავნის გეგმების, თუ მათთვის დაწესებულია ასეთი მაჩვენებელი) და დაგროვების გეგმების შესრულების, აგრეთვე საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვის მიხედვით.

ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ რამდენად შეასრულეს საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების მათთვის დაწესებული გეგმები ნატურალური გამოხატულებით, ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით.

23. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს კარგად მომუშავე საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ამ დადგენილების 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ გეგმიან დავალებებს და აგრეთვე ინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩუნებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებს, შემდეგი დამატებითი უპირატესობანი დაკრედიტების დროს:

აძლიოს დროებითი ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში სესხი 60 დღის ვადით იმ მოთხოვნილებისათვის, რაც წამოიჭრება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მსვლელობაში;

აძლიოს სესხი ხელფასის გასაცემად 30 დღემდე ვადით, დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა სესხთა ვადაგასული დავალიანება.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს მიანიჭონ ცალკეულ შემთხვევებში საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნული უპირატესობანი, როდესაც მათ ექნებათ დროებითი ჩამორჩენა რეალიზაციისა და დაგროვების გეგმების შესრულებაში, სატრანსპორტო სიძნელეთა გამო მზა პროდუქციის გაგზავნის შეფერხებასთან ან არაწესიერი გადამხდელებისათვის პროდუქციის გაგზავნის შეწყვეტასთან დაკავშირებით, აგრეთვე როდესაც ექნებათ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისი, შექმნილი იმის გამო, რომ მათ ვერ მიიღეს საფინანსო გეგმების შესაბამისად ხვედრი სახსრები.

24. დაწესდეს, რომ იმ ცუდად მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ვერ ასრულებენ ამ დადგენილების 22-ე პუნქტით გათვალისწინებულ ცალკეულ გეგმიან დავალებებს, არ ინარჩუნებენ საკუთარ საბრუნავ სახსრებს და არ იღებენ ზომებს მუშაობის გასაუმჯობესებლად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს გამოიყენოს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელისათვის გაფრთხილების მიცემიდან 30 დღის შემდეგ დაკრედიტების შემდეგი განსაკუთრებული რეჟიმი:

ა) გაუდიდოს 20 პროცენტამდე კრედიტით სარგებლობის განაკვეთის ოდენობა;

ბ) სესხი საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დროებით შესავსებად აძლიოს ზემდგომი ორგანიზაციის გარანტიით;

გ) შეუწყვიტოს ცალკეული სახის კრედიტის მიცემა, გარდა კრედიტისა, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამბარებლებთან და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან ანგარიშის გასასწორებლად;

დ) შეზღუდოს კრედიტის მიცემა საწარმოებისათვის, რომლებიც იღებენ სესხს მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვისა და ხელფასის ხარჯების მიხედვით, ამოღებული საკუთარი საბრუნავი სახსრების თანხის რაოდენობით.

25. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გამოიყენოს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაყვანის დღიდან 6 თვის გასვლის შემდეგ არ გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, — ეკონომიური ზეგავლენის შემდეგი დამატებითი ზომები:

ა) სრულიად შეწყვიტოს მათი დაკრედიტება (გარდა კრედიტის მიცემისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამბარებლებთან, საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან ანგარიშის გასასწორებლად და საწარმოების დასაკრედიტებლად ბრუნვის მიხედვით საკუთარი საბრუნავი სახსრების მათთვის ჩამორთმეული თანხის ფარგლებში);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოითხოვოს წინათგაცემული სესხის ვადამდე გადახდევინება;

გ) წარმართოს უშუალოდ სსრ კავშირის სახელმწიფოს ბანკის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გირავნობით უზრუნველყოფილ სესხთა დავალიანების დასაფარავად ამ ფასეულობათა რეალიზაციის ამონაგები.

26. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა დაადგინოს წესი ამ დადგენილებით გათვალისწინებული ეკონომიური ზემოქმედების ზომების გამოყენებისა ცუდად მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ.

27. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა არ გამოიყენონ შემდეგში საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ზემოქმედების შემდეგი ზომები:

გადაყვანა ბანკის დაწესებულებათა მოთხოვნით სხვაქალაქელ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმაზე მატერიალური ფასეულობისა და მომსახურებისათვის ღა წინასწარ ანაზღაურებაზე იმავქალაქელ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების დროს;

იმის აკრძალვა ბანკის დაწესებულების განკარგულებით, რომ გამოყენებულ იქნას აუნაზღაურებელი მატერიალური ფასეულობანი მათ ანაზღაურებამდე და ამ ფასეულობათა დატოვება შესანახად საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის პასუხისმგებლობით;

საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოცხადება გადახდისუუნაროდ;

ფულის მიცემის შემცირება ან სრულიად შეწყვეტა რიგს გარეშე საანგარიშსწორებო ანგარიშებიდან გადაუდებელი საჭიროებისათვის;

იმ ანგარიშსწორების მონაწილეთა შემადგენლობიდან გარიცხვა, რაც დამყარებულია ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლაზე.

28. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს:

აძლიოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რეალურ ზომებს იღებენ დაგროვილ უსარგებლო ან ჩაწოლილ მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და რეალიზაციისათვის, კრედიტი ამ ფასეულობათა ნაშთების მიხედვით ვადით 12 თვემდე, ამასთან გადაახდევინოს პროცენტები იმ ოდენობით, რომელიც გადიდებული იქნება წლიური ერთი პროცენტით იმ განაკვეთთან შედარებით, რაც დაწესებულია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა არასეზონური ზენორმატიული მარაგისათვის გაცემულ სესხთა მიხედვით, რომლის დაგროვება გეგმით არის გათვალისწინებული;

შეწყვიტოს მთლიანად ან ნაწილობრივ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტება, რომლებმაც დააგროვეს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზეგეგმითი მარაგი, მათზე არსებული ფაქტიური მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად შეტანასთან, ისეთი პროდუქციის შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც არ საღდება და არ სარგებლობს მყიდველთა მოთხოვნილებით, და რომლებიც არ იღებენ ზომებს ამ მარაგის შესამცირებლად.

29. იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტება, რომლებსაც აქვთ საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისი მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გარეშე, შეიძლება აწარმოოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა ზემდგომი ორ-

განიზაციის გარანტიით, რომ დაფარული იქნება სესხი ამ სახსრების დანაკლისის თანხის ფარგლებში.

30. დაწესდეს, რომ ხელფასის ფონდების ხარჯვისადმი კონტროლის განხორციელების დროს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მისცემს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებს სახსრებს ხელფასის გასაცემად კვარტალის პირველი 2,5 თვისათვის ფაქტიურად დარიცხული თანხის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს კვარტალისათვის დამტკიცებული ფონდისა, ხოლო კვარტალის საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს — წარმოების კვარტალური გეგმის შესრულების მიხედვით.

31. სახსრების მიცემა ხელფასის გასაცემად დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი სამრეწველო საწარმოებისათვის იმ თანხების გადამეტებით, რაც მათ ერგებათ კვარტალის საწარმოო გეგმის შესრულების დონის საფუძველზე (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილების 31-ე პუნქტში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით), შეიძლება მოხდეს, როგორც გამონაკლისი, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებების მიერ ხელფასის კვარტალური ფონდის არა უმეტეს 2 პროცენტისა სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მთავარი სამმართველოების (სამმართველოების) ნებართვით და იმ პირობით, თუ საწარმოზე არ ირიცხება ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

ყველა დანარჩენ შემთხვევაში საწარმოებს ხელფასის ფონდის მათ მიერ დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად სახსრებს მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები სამინისტროების, უწყებების ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ნებართვით.

32. დაევალოთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ საკუთარი საბრუნავი სახსრების და მიღებული კრედიტის სწორად გამოყენება, აგრეთვე ბანკებისათვის სესხთა დაბრუნების ვალდებულებათა დროზე შესრულება.

33. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

სისტემატური კონტროლი გაუწიონ იმას, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სწორად და ეფექტიანად გამოიყენონ საკუთარი სახსრები და ბანკის კრედიტები, შეასრულონ ბიუჯეტისა, მიმწოდებლებისა და ბანკებისადმი გადასახდელთა ვალდებულებანი, მიიღონ საჭირო შემთხვევებში ზომები მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში არსებული უყაირათობისა და ზედმეტობის აღმოსაფხვრელად;

უზრუნველყონ საწარმოებისა და ორგანიზაციების დროულად დაფინანსება საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების ზრდისათვის და გეგმიდან გამომდინარე სხვა მიზნებისათვის.

34. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სისტემატურად გაუკეთონ ანალიზი ხელფასის ფონდების ხარჯვის მდგომარეობას, მიიღონ ზომები ამ ფონდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახარჯვის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად და პასუხისგებაში მისცენ გადახარჯვაში დამნაშავე პირები.

35. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

10 სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 12 მაისი, № 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 12 მაისის № 301
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორის შესახებ

სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი არის ბავშვთა და მოზარდთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების ხელმძღვანელი და მომწყობი არასასწავლო დროს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

I. პედაგოგ-ორგანიზატორის დანიშვნა და გათავისუფლება

სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორებად ინიშნებიან პედაგოგიური განათლებისა და სკოლაში მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, რომლებსაც ამასთან ერთად აქვთ ბავშვებთან მუშაობის მოწოდება, სათანადო ორგანიზატორული ჩვევები, შესაფერისი პოლიტიკური და კულტურული დონე.

პედაგოგ-ორგანიზატორი კარგად უნდა იცნობდეს პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს, ბავშვებთან სკოლისგარეშე მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

პედაგოგ-ორგანიზატორს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომი, განათლების განყოფილებისა და კომკავშირის საქალაქო, რაიონული კომიტეტის წარდგენით.

II. პედაგოგ-ორგანიზატორის უფლება-მოვალეობანი

სახლმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი მოვალეა:

ა) არასასწავლო დროს იზრუნოს ბავშვთა და მოზარდთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის, ხელი შეუწყოს ცოდნის შეძენისა და ბეჯითი სწავლისადმი მისწრაფების განვითარებასა და შეგნებული დისციპლინის აღზრდას, ამასთანავე გამოიყენოს მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც განსხვავდებიან სკოლაში არსებული ფორმებისა და მეთოდებისაგან; განავითაროს მოზარდთა ინიციატივა და თვითშემოქმედება, თავის საქმიანობაში გამოიყენოს მოწინავე პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილება;

ბ) მოზარდებთან კულტურულ-მასობრივი მუშაობის სახელმძღვანელოდ შექმნას მიკრორაიონის შტაბი, რომლის შემადგენლობაში საწარმოო დაწესებულებათა და სკოლების კომკავშირის კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად (რომლებიც მოცემული მიკრორაიონის ძირეულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ), უნდა შევიდნენ შტაბის სამოქმედო ზონაში მცხოვრები დეპუტატები, მასწავლებლები, სპორტსმენები, შემოქმედებითი ახალგაზრდობა და სხვები. ფართოდ ჩააბას ამ საქმეში კლუბები, კულტურის სახლები, პარკები, სკოლისგარეშე

დაწესებულებანი და მათი დახმარებით სახლმმართველობის ყველა ეზო გადაქციოს მოზარდთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების კერად;

გ) ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი კულტურული გართობისა და დასვენებისათვის, უნდა შექმნას მოზარდთა კლუბები, საბავშვო ოთახები და წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები და ტექნიკური წრეები. სისტემატურად მოაწყოს ლაშქრობანი, ექსკურსიები და ექსპედიციები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ზაფხულობით ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობას;

დ) ეზოს კომიტეტებისა და მოზარდთა დახმარებით ეზოებში, სადაც ამის შესაძლებლობა არის, მოაწყოს ყვავილნარები, მწვანე ნარგავთა გაზონები, სპორტული მოედნები და სისტემატურად ჩაატაროს მოძრავი თამაშობანი და სპორტული ასპარეზობანი;

ე) განათლების დარგში განახორციელოს განათლების სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მითითებანი;

ვ) მჭიდრო კავშირი იქონიოს ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, სკოლებთან, ქალაქისა და რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან, მილიციის ბავშვთა ოთახებთან;

ზ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებაში;

თ) დაეხმაროს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებს ჩამორჩენილობის დაძლევაში და ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბას პენსიონერი მასწავლებლები;

ი) შეისწავლოს ბავშვთა უპატრონობისა და უზედამხედველობის მიზეზები და ხელი შეუწყოს მათს ჩაბმას სწავლასა და სასარგებლო საქმიანობაში;

კ) შეისწავლოს ბავშვთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად იზრუნოს მისი გაუმჯობესებისათვის;

ლ) თვალყური ადევნოს სახლმმართველობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვას;

მ) სისტემატურად აიმაღლოს თავისი პედაგოგიური ოსტატობა და იდეურ-თეორიული დონე. შეისწავლოს მოწინავე მასწავლებელთა და პედაგოგ-ორგანიზატორთა გამოცდილება. მონაწილეობა მიიღოს მასწავლებელთა მეთოდკომისიების, კონფერენციებისა და თათბირების მუშაობაში. საჭიროების შემთხვევაში დაესწროს სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებს;

ნ) პედაგოგ-ორგანიზატორის წლიურ და კვარტალურ სამუშაო გეგმებს სახლმმართველობა უთანხმებს ალკკ საქალაქო, რაიონულ კომიტეტს და ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილებას.

III. პედაგოგ-ორგანიზატორის წახალისება

პედაგოგ-ორგანიზატორები, რომლებიც თავს გამოიჩენენ მუშაობაში, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოების აღმასკომების რეკომენდაციით შეიძლება დაჯილდოებულ იქნან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, ალკა საქალაქო, რაიონული კომიტეტის სიგელითა და სხვა სახის ჯილდოებით.

II „აფხაზხილბოსტნის“ და „აჭარხილბოსტნის“ სამმართველოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების წინადადება და ადგილებზე ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის შესყიდვა-გასაღებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით დაწესდეს, რომ „აფხაზხილბოსტანი“ და „აჭარხილბოსტანი“ ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ მთავარი სამმართველოს „საქხილბოსტნის“ სამმართველოს, ისე შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 13 მაისი, № 315.

12 გასტროლიორებისა და ადგილობრივი მუსიკალური და მოცეკვავეთა კოლექტივების საკონცერტო და საესტრადო წარმოდგენებზე ბილეთების ღირებულების დამტკიცების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 თებერვლის № 88 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ გასტროლიორებისა და ადგილობრივი მუსიკალური და მოცეკვავეთა კოლექტივების საკონცერტო და საესტრადო წარმოდგენებზე ბილეთების ღირებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 27 მაისი, № 337.

13 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 აპრილის № 320 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 26 მაისის № 708 განკარგულების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 აპრილის № 320 დადგენილებისა „სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის მომჭირნეობისათვის საწარმოების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 27 ოქტომბრის № 851 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 26 მაისის № 708 განკარგულება.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 აპრილის № 320 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება „საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 აგვისტოს № 896

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცები. აღნიშნული დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 629 დადგენილებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 31 მაისი, № 345.

14 ქ. რუსთავში სახელმწიფო ქართული თეატრის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ქ. რუსთავის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას ქ. რუსთავში სახელმწიფო ქართული თეატრი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის 1967 წელს დამტკიცებული შრომის გეგმის, საერთო ლიმიტებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1967 წელს დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დოტაცია 40 ათასი მანეთი ქ. რუსთავის სახელმწიფო თეატრისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან.

3. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ რუსთავის სახელმწიფო ქართული თეატრი იმუშავებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სახლის ბაზაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 1 ივნისი, № 347.

15 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 2 ივნისი, № 349.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 2 ივნისის № 349
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით, წარმოადგენს რესპუბლიკურ ორგანოს, უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველო;

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველო;

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილება;

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილება;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის რაიონული, სარაიონთაშორისო და საქალაქო რწმუნებულები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან შესაბამისად როგორც ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, ისე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტსაც.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი განახორციელებს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) შეისწავლის იმ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემადგენლობას, რომელიც არ არის დასაქმებული საზოგადოებრივ მეურნეობაში და, საგეგმო და სამეურნეო ორგანოებთან ერთად, შეიმუშავებს წინადადებებს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ;

ბ) დაგეგმავს და ჩაატარებს მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას და გადასახლებას საზოგადოებრივი წარმოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

გ) კონტროლს გაუწევს იმას, თუ როგორ ასრულებენ სამეურნეო ორგანოები თავიანთ ვალდებულებებს, რომ შეუქმნან საწარმოებში და მშენებლობებზე გაგზავნილ მუშებსა და მოსამსახურეებს საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობები, აგრეთვე კონტროლს გაუწევს გადასასახლებელი მოსახლეობის სამეურნეო მოწყობას;

დ) ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას, თუ რამდენი მუშა და მოსამსახურე სჭირდებათ საწარმოებს, მშენებლობებსა და ორგანიზაციებს; სამუშაოზე მოაწყობს მოსახლეობას, რომელიც არ არის დასაქმებული საზოგადოებრივ მეურნეობაში;

ე) შეიმუშავებს და განახორციელებს სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად, ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშათა გადამზადებას და მათ გადანაწილებას დარგებსა, საწარმოებსა, მშენებლობებსა და რაიონებს შორის, წარმოების მოთხოვნილების შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი:

— ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებული ორგანოების — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების და ქ. თბილისის აღმასკომების შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებების და შრომითი რესურსების გამოყენების რაიონული, სარაიონთაშორისო და საქალაქო რწმუნებულების საქმიანობას;

— უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ

შრომითი რესურსების გამოყენების საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა განუხრელად განხორციელებას;

— შეისწავლის შრომითი რესურსების მდგომარეობას რაიონებში, ქალაქებსა და სოფელ ადგილებში; საგეგმო და სამეურნეო ორგანოებთან ერთად გამოარკვევს იმ საწარმოებს, რომლებიც საჭიროებენ მუშახელის შევსებას;

— შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალურ დასაქმებას;

— შეიმუშავებს შრომისუნარიანი მოსახლეობის ორგანიზებული შეგროვებისა და საჭირო გადასახლების გეგმების პროექტებს;

— შეიმუშავებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის ღონისძიებებსა და გეგმების პროექტებს და მონაწილეობას მიიღებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულ სპეციალისტთა განაწილებაში;

— საგეგმო ორგანოებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუშათა ორგანიზებული შეგროვების, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გადასახლების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით; უზრუნველყოფს დამტკიცებული გეგმების დაგზავნას შემსრულებლებისათვის, ამ გეგმების დროულად შესრულებას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ჩაატარებს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მუშათა ორგანიზებულ შეგროვებას მუდმივი და სეზონური მუშაობისათვის;

— ინფორმაციას მიაწვდის (შეატყობინებს) მოსახლეობას, თუ რამდენი მუშახელი სჭირდება საწარმოებს, მშენებლობებს, დაწესებულებებს, გააცნობს სამუშაოზე მიღების პირობებს, საბინაო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობებს;

— სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების განაცხადებით მუშა-მოსამსახურეებზე არსებული მოთხოვნილების შესახებ გაგზავნის სამუშაოდ მოქალაქეებს, რომლებიც შრომითს მოწყობას საჭიროებენ და ამ ღონისძიებას შეუფარდებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო მოთხოვნილებას მუშახელზე;

— შესაბამის საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან ერთად განახორციელებს გეგმით გათვალისწინებულ გადასახლებას, კონტროლს გაუწევს გადასახლების ყველა პირობის დაცვას: გადასახლებულთა სამეურნეო და საწარმოო მოწყობა, მათთვის დაწესებული შეღავათების მიცემა ან წახალისებითი პირობების შექმნა ახალ საცხოვრებელ ადგილზე;

— შეამოწმებს საწარმოებისა და მშენებლობების ფაქტიურ მოთხოვნილებას მუშახელზე, მათს მომზადებას იმ მუშათა და მოსამსახურეთა მისაღებად, რომლებიც იგზავნებიან ორგანიზებული შეგროვების, შრომითი მოწყობის ან გეგმიანი გადასახლების წესით; სისტემატურად გაუწევს კონტროლს იმ მუშების

სწორად გამოყენებას წარმოებაში, მშენებლობებზე, საწარმოებში, რომლებიც იგზავნებიან ორგანიზებული შეგროვების და შრომითი მოწყობის წესით;

— შემოწმების მასალების საფუძველზე, საჭირო შემთხვევებში, როდესაც საწარმო ან მშენებლობა ცუდად არის მომზადებული მუშების მისაღებად, შეაჩერებს ორგანიზებულ შეგროვებას მოცემული საწარმოსათვის ან მშენებლობისათვის. ამას მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და აცნობებს შესაბამის სამინისტროს, უწყებას და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს საჭირო ზომების მისაღებად;

— აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ახალი სამრეწველო მშენებლობის განლაგებასა და დაგეგმვაში რაიონებსა, ქალაქებსა და სოფელ ადგილებში; შეიტანს თავის წინადადებებს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ესა თუ ის მშენებლობა მოცემულ ადგილას, რესპუბლიკის შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით;

— უშუალო მონაწილეობას მიიღებს ქალაქების განვითარების გენერალური გეგმებისა და სქემების და რაიონული დაგეგმვის განხილვაში, ამასთან შეიტანს თავის წინადადებებს მოსახლეობის დასაქმებულობის ნაწილში;

— შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ მუშა-მოსამსახურეთა გადანაწილებას და გადამზადებას საწარმოებსა და მშენებლობებს შორის, რომლებიც განთავისუფლდებიან შრომის ნაყოფიერების, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ზრდის, მმართველობის სტრუქტურის სრულყოფის ან სახალხო მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გამო;

— განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მშენებლობის ობიექტების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

— კონტროლს გაუწევს სახელმწიფო სახსრების სწორად ხარჯვას და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დისციპლინის დაცვას ყველა დაქვემდებარებული ორგანოს მიერ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს უფლება აქვს:

— მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკის შრომითი რესურსების წლიური და პერსპექტიული შეჯამებული ბალანსების განხილვაში;

— საგეგმო და სამეურნეო ორგანოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება, ისეთი დისპროპორციების თავიდან აცილება და აღმოფხვრა, რომლებიც გამოწვეულია შრომისუნარიანი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდით, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილების შესაბამისი ზრდა ამა თუ იმ ობიექტური მიზეზებით;

— გამოიკვლიოს საწარმოები, მშენებლობები და ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შრომითი რესურსების რაციონალურად და სწორად გამოყენების საკითხებზე;

— მიიღოს მშენებლობებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ინფორმაცია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და ვაკანსიების შესახებ, გაგ-

ზავნოს სამუშაოზე მოსაწყობად ამ ადგილებსა და ვაკანსიებზე ის პირები, რომლებიც არ არიან დასაქმებული საზოგადოებრივ მეურნეობაში;

— მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისაგან, უწყებებისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, აგრეთვე სხვა ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო, საგეგმო და სტატისტიკური ორგანოებისაგან საგეგმო, სტატისტიკური და საანგარიშო მასალები;

— კონკრეტული ვითარების საფუძველზე, ნაწილობრივ შეცვალოს მუშათა ორგანიზებული შეგროვების გეგმა მათი შეგროვების ადგილის მიხედვით ისე, რომ უცვლელი დარჩეს იმ მუშათა საერთო რაოდენობა, რომლებიც იგზავნებიან ამა თუ იმ საწარმოში, მშენებლობაზე, უწყებაში;

— შეცვალოს მუშათა ორგანიზებული შეგროვების გეგმა, თუ უწყებას, საწარმოს, მშენებლობას არ სჭირდება დაგეგმილი რაოდენობის მუშახელი და საჭიროების შემთხვევაში შემცირების ხარჯზე გაუდიდოს ორგანიზებული შეგროვების გეგმა სხვა ორგანიზაციებს;

— შეიტანოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ცვლილებანი ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და შტატებში პერსონალის დამტკიცებული რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემა, აგრეთვე შეიტანოს საჭირო ცვლილებანი კომიტეტის რაიონულ, სარაიონთაშორისო და საქალაქო რწმუნებულთა დისლოკაციაში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პასუხისმგებელია სახელმწიფო კომიტეტის მთელი მუშაობისათვის, იგი ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებას, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილებას და შრომითი რესურსების გამოყენების რწმუნებულებს ქალაქებსა და რაიონებში.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების საფუძველზე და მათს შესასრულებლად, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე.

ბრძანებები და ინსტრუქციები, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს მუშათა ორგანიზებული შეგროვების, მოსახლეობის შრომითი მოწყობის, გადასახლება-დასახლების, სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშათა გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების საკითხებზე და მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე, — სავალდებულოა საქართვე-

ლოს სსრ სამინისტროებისა, უწყებებისა, საწარმოებისა, მშენებლობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— დაამტკიცებს შრომითი რესურსების გამოყენების იმ ორგანოების დებულებებს, რომლებიც მას უშუალოდ ემორჩილებიან;

— დანიშნავს და თანამდებობიდან დაითხოვს სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე შრომითი რესურსების გამოყენების იმ ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც მას უშუალოდ ემორჩილებიან;

— განაგებს სახელმწიფო კომიტეტისათვის გამოყოფილ ასიგნობებსა და მატერიალურ ფონდებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე განიხილავს ყველა საკითხს, რომლებიც მისი ძირითადი საქმიანობისაგან გამომდინარეობენ.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ხორციელდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და იმავდროულად წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კომიტეტის წევრებს თავის მხრივ უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შრომითი რესურსების გამოყენების სამმართველოები, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის შრომითი რესურსების გამოყენების განყოფილება იმყოფებიან საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე. იმ ხარჯების დროებით დასაფარავად, რომლებიც დაკავშირებულია მუშათა შეგროვებასთან და გადაყვანასთან, აგრეთვე შესაკრები პუნქტების შენახვასთან, მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩატარების მიზნით პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებათა შეძენასთან და სხვა ღონისძიებათა განხორციელებასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს გამოეყოფა საბრუნავი სახსრები, რომლებსაც საწარმოები, მშენებლობები, დაწესებულებები, აუნაზღაურებენ სახელმწიფო კომიტეტს დადგენილი წესით, წარდგენილი საინკასაციო ანგარიშების განაღდების გზით.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას და შტატებს დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

———

16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მაისის № 405 დადგენილებისა „შემკვეთთა მიერ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები.

2. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 87 დადგენილების 1 პუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„დაევალოთ შემკვეთებს, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, გადასცენ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს 1967 წელს მშენებელთა ჩასასახლებლად 10 პროცენტი, ხოლო „მთავართბილმშენმა“ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტმა ქალაქ თბილისსა და რუსთავში—5 პროცენტი საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობისა ამ მოიჯარე ორგანიზაციების მიერ აშენებულ სახლებში, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საწარმოების, ორგანიზაციების, სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში, საბჭოთა მეურნეობების სახლებსა და სახაზო საექსპლუატაციო პერსონალისათვის აშენებულ სახლებში, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით აშენებულ სახლებში, რომლებზედაც ვრცელდება დებულება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.

მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართობი განაწილდება საერთო-სამშენებლო, სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციებს შორის ამ ორგანიაზციების იმ მუშაკთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც დასაქმებული არიან აღნიშნული სახლების მშენებლობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 8 ივნისი, № 366.

17 ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭო და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა, დანართის თანახმად[1]).

[1]) დანართი არ მოიყვანება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი, № 371.

18 სამკერდე ნიშნის — „წარჩინებული მრწყველის" დებულების დამტკიცების შესახებ

შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს № 488 დადგენილებისა, რომლითაც დაწესებულია სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მრწყველი", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება „წარჩინებული მრწყველის" სამკერდე ნიშნის შესახებ, აგრეთვე ნიშნის ესკიზი და აღწერილობა.

2. „წარჩინებული მრწყველის" 5 ათასი ცალი სამკერდე ნიშნის და სათანადო მოწმობის დამზადება დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

3. „წარჩინებული მრწყველის" სამკერდე ნიშნის და სათანადო მოწმობის დამზადების ხარჯები გაწეულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შესანახი ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის მომჭირნეობის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 9 ივნისი, № 372.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 9 ივნისის № 372
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამკერდე ნიშნის — „წარჩინებული მრწყველის" შესახებ

1. სამკერდე ნიშნით — „წარჩინებული მრწყველი" დაჯილდოვდებიან კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებიც მთელი რიგი წლების მანძილზე რწყვის მაღალხარისხოვნად ჩატარების შედეგად, სარწყავი წყლის

მომჭირნეობასთან და რაციონალურად გამოყენებასთან ერთად, ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებას.

2. სამკერდე ნიშნით — „წარჩინებული მრწყველი" დაჯილდოვდებიან:

ა) სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვაზე — კვლებში სიფონების, მილაკების, ფარებისა და სხვა მარეგულირებელ მოწყობილობათა დახმარებით სათოხნი სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის პროგრესული მეთოდების გამოყენებისათვის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის დროს სრულყოფილი ხერხების გამოყენებისათვის (ზოლებში მიშვებით, ხელოვნური გაწვიმებით და ტენმომარაგებითი რწყვის გამოყენებით);

ბ) მინდვრებში სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებისათვის, რწყვის დაწესებული ნორმების დაცვისათვის, წყლის გულმოდგინედ განაწილებისა და ნიადაგის თანაბრად დატენიანებისათვის;

გ) მიწოდებული სარწყავი წყლის ხარჯვის შესაბამისად, ცვლისათვის დადგენილი მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე რწყვის საქმეში შრომისნაყოფიერების გადიდებისათვის.

3. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებიც მიაღწევენ რწყვის საუკეთესო მაჩვენებლებს და ხელს შეუწყობენ მოსავლიანობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, დაჯილდოვდებიან „წარჩინებული მრწყველის" სამკერდე ნიშნებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ბრძანებით კოლმეურნეობათა გამგეობების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების წარდგენით, რასაც ერთობლივად განიხილავენ სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოები და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოები და დაამტკიცებენ რაიაღმასკომები.

4. სამკერდე ნიშანთან ერთად დაჯილდოებულს მიეცემა დაწესებული ნიმუშის მოწმობა.

5. საპატიო წოდების შეუფერებელი საქციელისათვის სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა წარმოებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ბრძანებით.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 9 ივნისის № 372
დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

სამკერდე ნიშნისა „წარჩინებული მრწყველი"

სამკერდე ნიშანი „წარჩინებული მრწყველი" იშტამპება ფურცლოვანი თითბრისაგან, რომელიც შემდგომ შეიღებება ხუთ ფერად მინანქრის საღებავით.

ნიშნის ზომა:

დიამეტრი — 34 მმ

სისქე — 1,8 მმ

ნიშანი წარმოადგენს წრის ფორმას, რომლის ზედა ნაწილში გამოსახულია საქართველოს სსრ ალამი, რომელიც დაფარულია წითელი და ღია ცისფერი მინანქრით.

ამობურცული ალამი 1 მმ-ით სცილდება წრის ხაზს.

ნიშნის ფერსოზე თეთრი მინანქრის ფონზე გაკეთებულია ცისფერი წარწერა ქართულ და რუსულ ენებზე „წარჩინებული მრწყველი", „Отличный поливальщик".

ფერსოს შიგნით წრე გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის ზედა ნახევარში მოთავსებულია ცისფერი ნახევარწრე, მინანქრით შესრულებული; ნახევარწრის გვერდებზე მწვანე მინანქრის ფონზე გამოსახულია ვაზი და ხორბალი ოქროსფრად.

ქვედა ნახევარში გამოსახულია მწვანე, მიხაკის და ყვითელი ფერების მიწის ნაკვეთები, მინანქრით შესრულებული.

ვერტიკალზე, წრის ცენტრში გამოსახულია საწვიმარი დანადგარის სილუეტი წყლის ჭავლით, ოქროთი შესრულებული, ხოლო მის ქვემოთ მინანქრის მწვანე ფონზე გაკეთებულია წარწერა ოქროთი „სსსრ"

ნიშნის მეორე მხარე:

ნიშნის გლუვ თითბრის ზედაპირზე შუა ნაწილის ცოტა ზემოთ გაკეთებულია ნიშნის დასამაგრებელი ქინძისთავი.

---

19 ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი", რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 13 ივნისი, № 380.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 13 ივნისის № 380
დადგენილებით

წესი

ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდების შექმნისა და ხარჯვისა

1. შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის დადგენილებისა „ადგილობრივი მრეწველობის და სამხატვრო სარეწების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში იქმნება ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა წასახალისებლად დაჯილდოების ცენტრალური ფონდი.

2. ფართო მოხმარების საქონლის ახალსახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდი შეიქმნება იმ მოგების 0,5 პროცენტის რაოდენობით, რომელიც წარიმართება ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდის შესაქმნელად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად.

3. დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდის ანარიცხები შემოდის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში.

4. მოგების თანხა, რაც უნდა გადაირიცხოს დაჯილდოების ცენტრალურ ფონდში, გათვალისწინებული იქნება საწარმოთა საფინანსო გეგმებით ყოველი წლისათვის და განაწილდება კვარტალების მიხედვით.

ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდისათვის განკუთვნილ სახსრებს გადარიცხავენ საწარმოები ფაქტიური მოგებიდან და შესაბამის ანგარიშზე, რომელსაც დააწესებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით.

5. დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები იხარჯება ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვების წასახალისებლად:

საწარმოებისა და ორგანიზაციების მხატვართა, მოდელიერთა, კონსტრუქტორთა და სხვა მუშაკთა წასახალისებლად, რომლებიც არიან საქონლის ახალ სახეობათა ნიმუშების შექმნის ავტორები;

საწარმოების ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშათა წასახალისებლად, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ საქონლის ახალ სახეობათა მასობრივი წარმოების ათვისებასა და გამოშვებაში ან აქტიურად უჭერენ მხარს ამ საქმეს.

6. საქონლის ხარისხის შეფასებას და მის მიკუთვნებას ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობებზე, რომელთა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის ჯილდოვდებიან მუშაკები ამ წესის მიხედვით, აწარმოებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო საბჭო სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ამასთან სამხატვრო საბჭო მიიღებს რეკომენდაციებს ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა პირველი პარტიის გამოშვების მოცულობის, მათი გამოშვების ათვისების ვადებისა და პირველი პარტიების გამოშვებისათვის პრემიების საერთო თანხის შესახებ.

7. გადაწყვეტილებებს დაჯილდოების შესახებ (სამხატვრო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით) მიიღებს ფართო მოხმარების საქონლის დაწესებული მოცულობის ახალ სახეობათა პირველი პარტიის რეალიზაციის შემდეგ საქართველოს სსრ ადგლობრივი მრეწველობის სამინისტრო ამ სამინისტროს ტექნიკური განყოფილების და შრომისა და ხელფასის განყოფილების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს წარდგენით.

8. პრემიის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა მიეცეს ერთ მუშაკს ფართო მოხმარების საქონლის ყოველი ცალკეული ახალი სახეობისათვის, არ უნდა აღემატებოდეს:

ავტორებს — საქონლის ახალ სახეობათა შექმნისათვის — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის ნახევარს, ხოლო ტექნიკური, კონსტრუქციული და მხატვრული შესრულების მხრივ უფრო რთული ნაკეთობებისათვის — ერთი თვის თანამდებობრივ განაკვეთს;

ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს — ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის ერთ მესამედს და მუშებს — თვიური სატარიფო განაკვეთის ერთ მესამედს.

ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა შექმნისა და მასობრივი გამოშვების ათვისებისათვის პრემიების საერთო თანხა, რაც მიეცემა ერთ მუშაკს ამ წესის შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს სამი თვის თანამდებობრივ განაკვეთს (სატარიფო სარგოს) წელიწადში.

9. ამ წესის მიხედვით დაჯილდოება წარმოებს მხოლოდ ფართო მოხმარების საქონლის იმ ახალ სახეობათათვის, რომელთა შესაქმნელად და გამოსაშვებად არ ხდებოდა პრემიების გაცემა სხვა მოქმედი დებულებებით დაჯილდოების შესახებ (ახალი ტექნიკის ათვისებისა და დანერგვისათვის, წარმოების ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვებისათვის და სხვ.).

10. ამ წესის მიხედვით პრემია გაიცემა მიუხედავად იმისა, შესრულებულია თუ არა გეგმა საწარმოთა საქმიანობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით და მიუხედავად ხელფასის ფონდის ხარჯვისა, იმ პრემიების თანხის გადამეტებით, რომლებიც გაიცემა შესაბამისად სხვა დებულებებისა დაჯილდოების შესახებ.

11. პრემიები, რომლებიც მიეცემათ მუშაკებს დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდიდან, ხელფასის ფონდის ანგარიშში არ შეიტანება.

12. დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები, რომლებიც არ ყოფილა გამოყენებული მიმდინარე წელს, შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მიზნებისათვის შემდგომ წელს.

13. პრემიებს დაუმტკიცებენ:

დირექტორებს, მთავარ ინჟინრებს — ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დანარჩენ მუშაკებს — საწარმოს ხელმძღვანელი პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით იმის მიხედვით, თუ რა მონაწილეობა მიიღეს მათ საქონლის ახალ სახეობათა ათვისებასა და მასობრივ გამოშვებაში.

14. პრემიის დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და ოპერატიული ანგარიშგების მონაცემები ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ.

---

20 თბილისის სამხატვრო აკადემიისათვის სახელის გამოცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინადადება და თბილისის სამხატვრო აკადემიას გამოეცვალოს სახელი და ეწოდოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 14 ივნისი, № 388.

21 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფების შესახებ.

2. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ნებაყოფლობითმა სახანძრო საზოგადოებამ შეიმუშაონ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა მომზადების პროგრამა და დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს იმ მხრივ, რომ მოეწყოს შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებისათვის სახანძრო საქმის სწავლება და შერჩეულ იქნან ჯგუფების ხელმძღვანელები.

3. საქართველოს ნებაყოფლობითმა სახანძრო საზოგადოებამ მისცეს შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებს დამტკიცებული ნიმუშის მოწმობები და უზრუნველყოს ისინი სახანძრო უშიშროების წესებითა და ნორმებით, პლაკატებით, ბროშურებითა და ინსტრუქციებით ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1967 წლის II კვარტალში გამოუყოს საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას ორი ტონა სასტამბო ქაღალდი და 0,5 ტონა საყდე მუყაო შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების პირადობის მოწმობების დასამზადებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 16 ივნისი, № 391.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 16 ივნისის № 391
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ იქნას მოზიდული საზოგადოებრიობა ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის საქმისათვის, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნება შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფები.

2. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფები მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს და საქართველოს სსრ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს იმ მხრივ, რომ განახორციელონ კონტროლი სახანძრო უშიშროების წესების დაცვისა და იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებისადმი, რომელთა მიზანია საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფა.

3. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფები მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობით და თავიანთ საქმიანობას ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის საქმეში უთანხმებენ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებს.

შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფების რიცხობრივ შემადგენლობას დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების რეკომენდაციით და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა მომზადება და ინსტრუქტაჟი სახანძრო უშიშროების საკითხებზე ეკისრებათ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

4. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა პრაქტიკული მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა ეკისრებათ ჯგუფების ხელმძღვანელებს, რომლებსაც დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

5. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებით სახანძრო უშიშროების საკითხებზე, ამ დებულებით, აგრეთვე სახანძრო უშიშროების წესებითა და ნორმებით.

6. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების მითითებანი, რომლებიც შეეხება სახანძრო უშიშროების ზომების დაცვას და ხანძარსაწინააღმდეგო დარღვევათა აღმოფხვრას, მათი უფლებების მოცულობით, რაც განსაზღვრულია ამ დებულებით, სავალდებულოა საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა მოქალაქისათვის.

II. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების დამტკიცების წესი

7. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებად შეიძლება იყვნენ საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სპეციალისტები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თანამშრომლები, პენსიონერები და სხვა პირები, რომლებსაც თავიანთი მომზადებისა და მუშაობის გამოცდილების მიხედვით უნარი შესწევთ განახორციელონ ნებაყოფლობითს საწყისებზე ხანძრების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი.

8. სოფლის დასახლებულ პუნქტებში, მუშათა დაბებში, რაიონებსა და ქალაქებში შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებს დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასკომები საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რეკომენდაციების საფუძველზე და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების წარდგენით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებს დაამტკიცებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი.

9. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებს მისცემენ დაწესებული ნიმუშის მოწმობებს (დანართი № 1).

როდესაც შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორი განთავისუფლდება თავის მოვალეობათა შესრულებისაგან, მოწმობა ჩაბარდება მისი გაცემის ადგილზე.

III. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა უფლება-მოვალეობანი

10. ყოველ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორს მიემაგრება მუშაობის განსაზღვრული უბანი საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურებრივი საქმიანობის მიხედვით, რომელიც შედგება დაბის, სოფლის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, ფაბრიკის, ქარხნის ან რომელიმე სხვა ობიექტის ერთი ან რამდენიმე ქუჩისაგან.

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, საოლქო საბჭოებთან მყოფ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორებს შეიძლება დაევალოთ, მათი ძირითადი სამსახურებრივი საქმიანობის გათვალისწინებით, განსაზღვრული სამუშაო ხანძრების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით სა-

ბავშვო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სამკურნალო-კულტურულ სანახაობითს დაწესებულებებში, სამრეწველო და სხვა დაწესებულებებსა და საწარმოებში.

11. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორი მოვალეა:

ა) შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე მოქალაქენი სახანძრო უშიშროების დადგენილ წესებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს სახანძრო დაცვის საკითხებზე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობებს, და ეცადოს მათს შესრულებას;

ბ) თავისი მუშაობა ხანძრების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აწარმოოს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უფროსებთან, კოლმეურნეობათა სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსებთან, სახანძრო-ტექნიკური კომისიების წევრებთან, ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეებთან მჭიდრო კონტაქტით, აღმოუჩინოს მათ დახმარება სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობისა და ჩატარების საქმეში, აგრეთვე ნებაყოფლობით სახანძრო ფორმირებათა საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერების საქმეში;

გ) განმარტოს სახანძრო უშიშროების წესები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ სახანძრო დაცვის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, ჩაატაროს საუბრები იმ ხანძრებისა და ცეცხლწაკიდების შემთხვევების შესახებ, რომლებიც წარმოშობილია სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის შედეგად, გაავრცელოს პლაკატები, ბროშურები, წესები და ინსტრუქციები ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე;

დ) აცნობოს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის შემთხვევები.

ყველაზე სერიოზული დარღვევის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებსა და ჯგუფის ხელმძღვანელს სათანადო ზომების მისაღებად;

ე) აამაღლოს თავისი სახანძრო-ტექნიკური ცოდნა, დაესწროს საინსტრუქციო მეცადინეობასა და თათბირებს, რომლებსაც მოიწვევენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები და ჯგუფის ხელმძღვანელი.

12. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს სახანძრო უშიშროების, სახანძრო ტექნიკის, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საშუალებათა წესივრობის მდგომარეობა, წყლის წყაროებისა და სახანძრო გასასვლელების მდგომარეობა საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, აგ-

რეთვე სახელმწიფო და ინდივიდუალურ საცხოვრებელ სექტორში მუშაობის მიმაგრებულ უბანზე;

ბ) შეამოწმოს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების, კოლმეურნეობათა სახანძრო სადარაჯო დაცვის, საბრძოლო განრიგებისა და სხვა ნებაყოფლობით სახანძრო ფორმირებათა ბრძოლისუნარიანობა;

გ) მოითხოვოს სახანძრო უშიშროების წესების ყოველგვარი დარღვევის დროულად აღმოფხვრა, ხოლო საჭირო შემთხვევებში შეადგინოს და სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოს დაწესებული ფორმის აქტი (დანართი № 2) იმ პირებზე, რომლებიც არღვევენ ან არ ასრულებენ ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებსა და წესებს.

13. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს ჯგუფს და დაგეგმავს მის მუშაობას;

ბ) შეიმუშავებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან, ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა საბჭოებთან ერთად და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სახალხო მეურნეობის ობიექტებზე და საცხოვრებელ სექტორში სახანძრო უშიშროების ზომების გაძლიერების შესახებ;

გ) განაზოგადებს და გაავრცელებს შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორების მუშაობის გამოცდილებას.

IV. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორთა წახალისება და პასუხისმგებლობა

14. ხანძრების თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით აქტიური მუშაობისათვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს, ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა საბჭოებს შეუძლიათ გამოუცხადონ შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორს — მადლობა, გადასცენ სიგელი, დააჯილდოონ იგი ძვირფასი საჩუქრით.

15. შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორები, რომლებმაც დაუშვეს უღირსი საქციელი ან არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიძლება განთავისუფლებულ იქნას თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან.

* *

*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 16 ივნისის № 391
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობა № _____

ამხ. _____

(გვარი, სახელი და მამის სახელი)

არის შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორი

_____

(მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის დასახელება)

ძალაშია 196 წ. _____ 196 -მდე

ვადა გაუგრძელდა 196 წ. _____ 196-მდე

ფოტოსურათისა და ბეჭდის
ადგილი

(პირადი ხელმოწერა)

შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორს უფლება აქვს შეამოწმოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მიერ სახანძრო დაცვის საკითხებზე გამოტანილ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა შესრულება, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობათა შესრულება, აგრეთვე ჩაატაროს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო-პროფილაქტიკური დათვალიერება.

აღმასკომის თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

„_____“ _____ 196 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 16 ივნისის № 391
დადგენილების დანართი № 2

ა ქ ტ ი

სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის შესახებ

„——“ ———————— 196 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ————————————————————————————

(გვარი, ინიციალი)

შევადგინე ეს აქტი:

1. გვარი, სახელი, მამის სახელი ————————————————

2. დაბადების წელი ————————

3. პასპორტის ნომერი, ვის მიერ და როდის არის გაცემული (ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტისა) ————————————

————————————

4. მუშაობის (სწავლის) ადგილი და თანამდებობა ————————

5. საცხოვრებელი ადგილი ————————

————————————

6. ხელფასის ოდენობა ————————

7. ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა რიცხვი და კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობა

————————————

დაარღვია:

————————————

(აღინიშნოს დრო, ადგილი, დარღვევის სახეობა, წესები და დარღვევის რაობა) ————————————

————————————

————————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____

_____

_____

სახანძრო უშიშროების წესების დარღვევას, რაც აღნიშნულია აქტში, ადასტურებენ მოწმეები

_____

(გვარი, სახელი, მამის სახელი და სად ცხოვრობენ ისინი)

_____

_____

აქტი წამიკითხეს

_____

(დამრღვევის ხელმოწერა)

დამრღვევის ახსნა-განმარტება (ან პირის აღნიშვნა, რომელმაც აქტი შეადგინა, იმის შესახებ, რომ დამრღვევმა უარი განაცხადა ან თავი აარიდა განმარტების მიცემას, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მან უარი განაცხადა ამ აქტის ხელმოწერაზე, რაც დადასტურებულ უნდა იქნას მოწმეთა ჩვენებით) _____

_____

_____

(შტატგარეშე სახანძრო ინსპექტორის ხელმოწერა)

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 1 დანართის XX განაყოფის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დართოს აპარატის და დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს წავიდნენ მივლინებაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომრის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 22 ივნისი, № 411.

23 საერთო საცხოვრებლების დებულების და მათი მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული დებულება სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვის შესახებ.

2. დამტკიცდეს სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატები.

3. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შინაგანაწესის ტიპობრივი წესები.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 797 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვისა და მათში ცხოვრების ქირის მოწესრიგების შესახებ“ და 1965 წლის 14 დეკემბრის № 717 დადგენილება „საერთო საცხოვრებლების დათმობის წესისა და მათი სარგებლობის პირობების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 30 ივნისი, № 428.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 30 ივნისის № 428
დადგენილებით

დებულება

სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების შენახვის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება ვრცელდება სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებზე, რომლებიც ეკუთვნით საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად. საერთო საცხოვრებელს განაგებს კომენდანტი, რომელსაც სპეციალურად დანიშნავს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

2. საერთო საცხოვრებელში ჩასახლება ხდება სიით, რომელიც დამტკიცდება იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომლის გამგებლობაში იმყოფება საერთო საცხოვრებელი.

საერთო საცხოვრებელში ჩასახლება წარმოებს წერილობითი განკარგულების (ორდერის) საფუძველზე, რომელსაც გასცემს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია.

3. მუშა-მოსამსახურეთა ჩასახლება სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებელში ოჯახებიანად კატეგორიულად აკრძალულია.

4. საწარმოები (ორგანიზაციები) მოვალენი არიან შეუქმნან საერთო საცხოვრებლებში მობინადრეებს ცხოვრებისა და დასვენების საჭირო პირობები, აწარმოონ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა.

II. საერთო საცხოვრებლების შემადგენლობა, მათი ზომა და მოწყობილობა

5. საერთო საცხოვრებლის მოწყობის, გაწყობისა და შენახვის სანიტარული წესების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორის მიერ, თვითეულ საერთო საცხოვრებელში მოწყობილი უნდა იყოს შემდეგი სადგომები:

სადგომების დასახელება	სანიმუშო ნორმები
საძინებელი ოთახები	ზომა არანაკლებ 12 კვ. მეტრისა, როდესაც საცხოვრებელი ფართობის მინიმალური ნორმა ერთ კაცზე შეადგენს 6 კვ. მეტრს და ოთახის ყველაზე მეტი ტევადობა — 4 კაცს.
პირსაბანი ოთახები	ცალ-ცალკე კაცებისა და ქალებისათვის შემდეგი ანგარიშით: ერთი ონკანი 8 კაცზე, მაგრამ არა უმეტეს ორი ონკანისა პირსაბან ოთახში
საპირფარეშოები:	
ა) კაცებისა	ერთი თვალი და ერთი პისუარი 18 კაცზე
ბ) ქალებისა	ერთი თვალი 12 ქალზე
ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გასაშრობი ოთახები (საშრობი საკანი)	0,2 კვ. მეტრი ერთ კაცზე, როდესაც ოთახის მინიმალური ფართობი უდრის 8 კვ. მეტრს.
თეთრეულის გასარეცხი და გასაშრობი სადგომი ინვენტარიანად	0,1 კვ. მეტრი ერთ კაცზე, სადგომის მინიმალური ფართობი 10 კვ. მეტრი
ჰიგიენის ოთახები ქალებისათვის	მოეწყობა ქალთა საერთო საცხოვრებლებში, სადაც 50-ზე მეტი ქალი ცხოვრობს
იზოლატორი	ორი საწოლი 100 კაცზე
წითელი კუთხე	ერთი — საერთო საცხოვრებელზე

6. ახალ საერთო საცხოვრებლებში ჩასახლება ხდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების ნებართვით. ჩასახლება იმ ნორმების გადამეტებით, რომლებიც დადგენილია სანიტარული წესებით, არ დაიშვება.

7. საერთო საცხოვრებლებში, რომლებშიაც ცხოვრობს 300-ზე მეტი კაცი, დამატებით მოეწყობა სასადილო ან ბუფეტი (ცხელი საჭმლით), სამრეცხაო, სამედიცინო პუნქტი. ყველა ეს დამხმარე სადგომი უნდა განლაგდეს შეძლებისდაგვარად საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე, მაგრამ საცხოვრებელი კორპუსების ცოტა მოშორებით.

8. საერთო საცხოვრებლებთან, სადაც კანალიზაცია არ არის, მოეწყობა, სანიტარული წესების დაცვით, გარეგანი რეტირადები რაბით, ბუნებრივი განათებითა და განიავებით.

III. იმ საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოვალეობანი, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება საერთო საცხოვრებელი

9. საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საერთო საცხოვრებლის სწორი ექსპლუატაციისა და სანიტარული მდგომარეობისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში დადგენილი წესის დაცვისათვის, იმისათვის, რომ შეუქმნას მობინადრეებს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები და აწარმოოს მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა.

10. საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია მოვალეა:

— გააწყოს საერთო საცხოვრებელი, დააკომპლექტოს იგი ავეჯით, ინვენტარითა და ლოგინის მოწყობილობით იმ ტიპობრივი ნორმების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 ოქტომბრის № 801 დადგენილების შესაბამისად (ტიპობრივი ნორმები თან ერთვის);

— გასწიოს ხარჯები საერთო საცხოვრებლის შესანახად და საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა შორის კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად;

— დროზე შეაკეთოს საერთო საცხოვრებლის შენობები და სადგომები, აგრეთვე მოწყობილობა, ავეჯი და ინვენტარი;

— გაუწიოს საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთ კომუნალური მომსახურება მოქმედი ნორმების მიხედვით და დაუთმოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სადგომები;

— შეარჩიოს მუშაკები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ საერთო საცხოვრებელს;

კონტროლი გაუწიოს საერთო საცხოვრებლის მდგომარეობას და მიიღოს ზომები აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— დროზე მიიღოს ზომები საერთო საცხოვრებლების მობინადრეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და ხელი შეუწყოს იმ წინადადებათა განხორციელებას, რომლებსაც საერთო საცხოვრებლის საბჭო შეიტანს ამ პირობების გაუმჯობესებისათვის.

11. საერთო საცხოვრებლის კომენდანტი ვალდებულია:

— საერთო საცხოვრებელში ჩაასახლოს მხოლოდ ის პირნი, რომლებსაც ექნებათ იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციის წერილობითი განკარგულება (ორდერი), რომლის გამგებლობაშიც იმყოფება საერთო საცხოვრებელი, აგრეთვე თუ ჩასასახლებელ პირს ექნება გასაწერად საჭირო საბუთები და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

— უზრუნველყოს სისუფთავე საერთო საცხოვრებელში და მის ტერიტორიაზე, მიაღწიოს იმას, რომ მობინადრეებმა დაიცვან შინაგანაწესი და ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროების პირობები;

— უზრუნველყოს ლოგინის მოწყობილობის გამოცვლა, გარეცხვა და დეზინფექცია ათ დღეში ერთხელ მაინც;

— უზრუნველყოს საერთო საცხოვრებლის მოწყობილობის, ინვენტარისა და მობინადრეთა პირადი ქონების დაცვა-შენახვა;

— დროზე აცნობოს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციას საერთო საცხოვრებლის მობინადრეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში წამოჭრილი სიძნელეების შესახებ;

12. იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია, რომლის გამგებლობაში იმყოფება საერთო საცხოვრებელი, დანიშნავს საშტატო ნორმატივების საფუძველზე (სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატები) მობინადრეებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ჩასატარებლად (პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით) აღმზრდელს, რომელიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, განსაზღვრავს მისი მუშაობის რეჟიმს საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის რეჟიმის მიხედვით.

აღმზრდელები დაინიშნებიან უპირატესად იმ პირთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ პედაგოგიური განათლება ან პედაგოგიური, ან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის პრაქტიკული ჩვევები.

13. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აღმზრდელი მოვალეა:

— შეისწავლოს საერთო საცხოვრებლის მობინადრეთა ინტერესები და მოთხოვნილებანი, აწარმოოს აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა იმ გეგმის საფუძველზე, რომელსაც დაამტკიცებს საწარმოს (ორგანიზაციის) პროფკავშირის კომიტეტი;

— ხელი შეუწყოს საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ პირთა ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებას, უზრუნველყოს მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

— დროზე დააყენოს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციის წინაშე საკითხები, რომ შეუქმნან საერთო საცხოვრებლის მობინადრეებს ცხოვრებისა და დასვენების საჭირო პირობები;

— ჩააბას საერთო საცხოვრებლების მობინადრეები სპორტულ-მასობრივ მუშაობაში;

— აწარმოოს თავისი მუშაობა საერთო საცხოვრებლის საბჭოსთან მჭიდრო კავშირში, რომელიც მუშაობს პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, შესაბამისად პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 5 ივნისს დამტკიცებული დებულებისა საერთო საცხოვრებლის საბჭოს შესახებ.

IV. საერთო საცხოვრებლების სადგომებისა და ტერიტორიების შენახვა

14. საერთო საცხოვრებლების ყველა სადგომი ყოველდღიურად უნდა დალაგდეს ტენიანი საშუალებით და შენახულ იქნას სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში. ფიცრის იატაკების გარეცხვა ხდება კვირაში ორჯერ მაინც, ხოლო პარკეტიანი იატაკების გაპრიალება — კვირაში ერთხელ მაინც.

15. საერთო საცხოვრებლის ყველა სადგომის გენერალური დასუფთავება, კედლებისა და ჭერების ჩამოწმენდა, იატაკების გარეცხვა, კედლების ზეთოვანი პანელების, კარ-ფანჯრებისა და საწოლების გარეცხვა, ლოგინის განიავება ხდება თვეში ერთხელ მაინც.

16. საერთო საცხოვრებლის საძინებელი სადგომების განიავება ხდება დღეში სამჯერ მაინც: დილით (როდესაც მობინადრენი სამუშაოზე მიდიან), დალაგების დროს და საღამოს, ძილის წინ.

17. საერთო საცხოვრებლების მობინადრენი მოვალენი არიან იარონ აბანოში 10 დღეში ერთხელ მაინც და გამოცვალონ ლოგინის თეთრეული (ორი ზეწარი, ბალიშისპირი და პირსახოცი).

18. საერთო საცხოვრებლების მობინადრენი უზრუნველყოფილი უნდა იქნან ადუღებული წყლით სამუშაოზე წასვლის წინ და სამუშაოდან მოსვლის შემდეგ.

19. საერთო საცხოვრებლების სადგომებში დროულად უნდა ჩატარდეს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი (საცხოვრებელი ფონდის ზამთრისათვის მომზადებასთან ერთად).

20. საერთო საცხოვრებლების სადგომებში ტემპერატურა თბობის სეზონის პერიოდში უნდა იყოს არანაკლებ 18 გრადუსისა ცელსიუსით.

21. საერთო საცხოვრებლის ტერიტორია უნდა იყოს კეთილმოწყობილი (გამწვანება, მოედანი თამაშობისათვის, სკამლოგინები და ა. შ.) და შენახულ იქნას სუფთად. ეზოს ტერიტორია და საეზოე რეტირადები სისტემატურად უნდა დასუფთავდეს, დაღამების შემდეგ — უნდა განათდეს.

სამეურნეო გადანაყარის შესაგროვებლად დაიდგმება ნაგავსაყრელები.

22. საერთო საცხოვრებლის თვითეულ სადგომში თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება შიგაგანაწესი, რომლის შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო საცხოვრებლის კომენდანტს.

23. საერთო საცხოვრებლად დაკავებული სადგომების მდგომარეობისა და მათი მოწყობილობისადმი კონტროლი ეკისრება საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაციას.

V. სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში ცხოვრების ქირა

24. სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის დაწესებულია საწოლ-ადგილის დიფერენცირებული ქირა, მისი კეთილმოწყობისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მიხედვით.

როდესაც ხელფასი თვეში შეადგენს:	კაპიტალური ტიპის სახლებში ცენტრალური გათბობით, წყალსადენით, კანალიზაციითა და ელექტროგანათებით	შემსუბუქებული ტიპის სახლებში ღუმელის გათბობით, უწყალსადენოდ და უკანალიზაციოდ
	თვიური ქირის განაკვეთები მან. კაპ.	თვიური ქირის განაკვეთები მან. კაპ.
40-დან 45 მანეთამდე	1 მან. 35 კაპ.	1 მან. 20 კაპ.
46-დან 50 „	1 მან. 55 კაპ.	1 მან. 40 კაპ.
51-დან 55 „	1 მან. 75 კაპ.	1 მან. 60 კაპ.
56-დან 60 „	2 მან 00 კაპ.	1 მან. 80 კაპ.
61-დან 65 „	2 მან. 25 კაპ.	2 მან. 00 კაპ.
65 მანეთზე მეტი	2 მან. 50 კაპ.	2 მან. 25 კაპ.

შენიშვნა: საწოლ-ადგილის ზღვრული განაკვეთი დაწესებულია ერთ საწოლზე ფართობის ნორმის — 6 კვ. მეტრის საფუძველზე ისე, რომ საშუალოდ 1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი ანაზღაურდეს 10 კაპიკის ოდენობით, რაც შეადგენს 60 კაპიკს; სადგომის დალაგება მიღებულია 45 კაპიკის და ლოგინის თეთრეულის გარეცხვა — 32 კაპიკის, პირად სარგებლობაში არსებული მცირეფასოვანი ინვენტარის გაცვეთა — 1 მან. და 13 კაპიკის რაოდენობით, ანუ სულ 2 მან. და 50 კაპიკი საწოლადგილზე.

25. კომუნალური მომსახურების (გათბობა, განათება, წყალი, კანალიზაცია) და იმ ელექტროენერგიის სარგებლობის ხარჯებს, რაც სჭირდებათ რადიომიმღებებს, ტელევიზორებს, ელექტრო და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს, ანაზღაურებენ სასაწოლო ტიპის საერთო საცხოვრებლების მობინადრენი ზემომოყვანილი განაკვეთების გადამეტებით ფაქტიური მოხმარების კვალობაზე, მაგრამ არა უმეტეს ტარიფებით დაწესებული მოქმედი ნორმებისა:

მუშა-მოსამსახურეები, რომელთა ხელფასი შეადგენს 50 მანეთამდე თვეში, თავისუფლდებიან კომუნალური მომსახურების საფასურისაგან.

შენიშვნა: კატეგორიულად აკრძალულია გათბობის, განათებისა და დამხმარე სამსახურებრივი სადგომებისა და საერთო სარგებლობის ადგილების ხარჯების დაკისრება საერთო საცხოვრებლების მობინადრეებისათვის.

26. მოწაფეებს საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის გადახდებათ 50 კაპიკი თვეში.

27. რადიომომსახურება (ტრანსლაცია) უზრუნველყოფილი იქნება საწარმოოს (ორგანიზაციის) ხარჯზე.

28. კარვებსა და პატარა ვაგონებში დროებით ცხოვრებისათვის საწოლადგილის საფასური არ გადახდებათ, ისევე როგორც იგი არ გადახდებათ საერ-

თო საცხოვრებლებში მცხოვრებთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იმყოფებიან ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში.

29. თუ საერთო საცხოვრებლის მობინადრეებს არ გაეწევათ ესა თუ ის მომსახურება, მისი შესაბამისი ღირებულება გამოირიცხება საერთო საცხოვრებლით სარგებლობის ყოველთვიური ქირიდან.

30. საერთო საცხოვრებელში მცხოვრები მოქალაქენი შეიძლება გასახლებულ იქნან გამქირავებლის მიერ გაფრთხილების მიცემიდან ერთი თვის ვადაში ადმინისტრაციული წესით პროკურორის სანქციით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად შემდეგ შემთხვევებში:

ა) სეზონური ან დროებითი მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოდან წავიდნენ საკუთარი სურვილით, დაარღვიეს შრომის დისციპლინა ან ჩაიდინეს დანაშაული მოქალაქეებმა, რომლებსაც საერთო საცხოვრებელი მისცა სახელმწიფო, კოოპერაციულმა ან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ შრომითი ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით.

ომის ინვალიდები, I და II ჯგუფის ინვალიდები, მოხუცებულობის პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, აგრეთვე ის მოქალაქენი, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა იმ ორგანიზაციასთან, რომელმაც მათ ადგილი მისცა საერთო საცხოვრებელში, სხვა მიზეზით, გარდა 30-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისა, შეიძლება გასახლებულ იქნან სასამართლო წესით, მაგრამ ისე, რომ მათ მიეცეთ სხვა საცხოვრებელი სადგომი.

31. საერთო საცხოვრებლებში ცხოვრების ქირა შეიტანება ყოველთვიურად შემდგომი თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა და ეს გამოიანგარიშება მცხოვრების სრული ხელფასიდან.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 30 ივნისის № 428
დადგენილებით

ტიპობრივი შტატები

სასწავლო ტიპის საერთო საცხოვრებლების მომსახურე პერსონალისა

თანამდებობათა დასახელება	საერთო საცხოვრებელი 100 საწოლამდე, საშტატო ერთეულების რაოდენობა	საერთო საცხოვრებელი 200 საწოლამდე, საშტატო ერთეულების რაოდენობა	საერთო საცხოვრებელი 300 საწოლამდე, საშტატო ერთეულების რაოდენობა
1. საერთო საცხოვრებლის კომენდანტი	1	1	1
2. შესანახი საკანის გამგე	—	1	2
3. დამლაგებელი	2	3	4
4. მრეცხავი	2	3	4
5. აღმზრდელი	—	—	1 (250 საწოლიდან)
6. მეეზოვე			
7. ცეცხლფარეში			
8. მეცეცხლური			

შენიშვნა: 1. მეეზოვეთა რაოდენობა განისაზღვრება დასასუფთავებელი ფართობის ის ნორმის შესაბამისად, რომელიც დაწესებულია შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ.

2. ცეცხლფარეშებისა და მეცეცხლურების თანამდებობანი და მათი რაოდენობა დაწესდება ის ნორმების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

24 განკარგულება № 563-გ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 10 მაისის № 405 დადგენილება „შემკვეთთა მიერ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

თბილისი, 1967 წლის 15 მაისი, № 563-გ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 405

1967 წლის 10 მაისი

მოსკოვი, კრემლი

შემკვეთთა მიერ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1968—1970 წლებისათვის, რომ შემკვეთებმა, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, უნდა გადასცენ საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებელთა ჩასასახლებლად საექსპლუატაციოდ გადაცემული ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც ამ მოიჯარე ორგანიზაციებმა ააშენეს, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების(მათ შორის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების და სკოლა-ინტერნატების საერთო საცხოვრებლებში, მოხუცთა და ინვალიდთა და სახაზო საექსპლუატაციო პერსონალისათვის აშენებულ სახლებში, სსრ კავშირის მონტაჟსპეცმშენის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებისა და საწარმოების, საბინაოსამშენებლო კოოპერატივების სახლებში, აგრეთვე იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებით აშენებულ სახლებში, რომლებზედაც ვრცელდება დებულება

სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე აშენებულ სახლებში.

მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართობი განაწილდება საერთო-სამშენებლო,სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციებს შორის ამ ორგანიზაციების იმ მუშაკთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც დასაქმებული არიან აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებების სახლებში გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობი მიემაგრებათ ამ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-1967 წ. ქაღალდის ზომა 70×108/16
ქაღალდი 15.500, ნაბეჭდი თაბახი 5,5 სააღრიცხვო თაბახი 5,0.

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა № 977 ტირაჟი 2750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ინდექსი — 76187

Б 138/183

ᲝᲜᲚᲘᲜᲘ — 76187